ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 35

ოთხშაბათი, 23 მარტი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. 50 კაპ., თვეში 1 მანეთი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ.-ადრესი: Тиф., Ред. „Иверія".

ცალკე ნომერი 3 კაპ.

1877—1905

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 35

ოთხშაბათი, 23 მარტი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედ. საზ.-ბის სახლში.

ტელეფონი № 922.

საჯარო ბიბლიოთეკა

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია"

1905 წ. გამოდის ყოველ-დღე, ორშაბათობითაც.

წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს

პრემიად 12 წიგნს

საერთო სათაურით: **„ივერიის ბიბლიოთეკა"**, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული **სურათები** და **ილლუსტრაციები**.

გაზეთის ფასი: 1 მარტიდან წლის დამლევამდის 8 მან., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.

რედაქცია იმყოფება პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედიტო საზოგადოების სახლში (მესამე სართულში).

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція газ. „Иверія".

კავკასიის ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა ურთიერთ შორის დამხმარებელი საზოგადოება

აცხადებს, რომ ხსენებულ საზოგადოებს

პირველი საზოგადო კრება

მოხდება პარასკევს, 25 მარტს, დილის 10 საათზე, ტფილისის ქალაქის საბჭოს დარბაზში. უნდა მოისმინონ და განიხილონ შემდეგი საგნები:

1) მოკლე ისტორიული აღწერა საზოგადოების დაარსებისა; 2) წესდების შემმუშავებელ კომისიის წინადადება იმის შესახებ, თუ რანაირ პირობებით უნდა იქმნან საზოგადოების წევრებად მიღებულნი ისინი, რომელთაც საზოგადო კრების მოხდენამდე სურვილი განუცხადებიათ საზოგადოების წევრობაზედ; 3) მოსმენა წესდებისა და საზოგადოების მოქმედების დაწყება; 4) განსაზღვრა გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა და მათის კანდიდატების რაოდენობისა, აგრეთვე მათი არჩევნები; 5) კითხვები, რომელნიც გამგეობის ორგანიზაციის საქმესთან არიან დაკავშირებულნი.

საზოგადოების წევრობის მსურველთ შეუძლიან ჩაეწერნენ ს. კ. მიხაილოვთან („ტფილ. ლისტ."-ს რედაქცია), ა. გ. ჯაბადართან (ცნ. ფურც." რედაქცია) და რ. ა. იოანისიანთან (ქალაქის საკრ. საზოგადოება); აგრეთვე კრების დღეს საბჭოს დარბაზის შესავალში. (3—უ.—1)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე. კბილის—8—9 საათ.

გ. გ. მაღალაშვილი. შინაგანი. ოთხშაბ. 9—10 საათამდე და კვირაობით 9—11 საათ.

ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა $9\frac{1}{2}$—$10\frac{1}{2}$ ს.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, სასისა და ცხვ. 10—11.

ვ. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. სამშ., ხუთშ., პარასკ. და შაბათობით 11—12.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგ. და ბავშვ. 12—1 ს.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი და ნერვებისა 12—1 ს.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

კ. ნ. დიასამიძე. — ვენერიული და კანისა $12\frac{1}{2}$ $1\frac{1}{2}$ საათ.

ს. ს. ალექსი-მესხიშვილი.—ხირურგია 1—2.

საღამოს:

ს. ი. ვაჭაძე.—შინაგ. 6—7 საათამდე.

ოპერაციების გაკეთება შეუძლიანთ გარეშე ექიმ-ხირურგებსაც.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით, კრავატები დღეში ღირს 2-დან სამ მანეთამდე. საზოგადო და ნომერი — 5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი), სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

ტელეფონი № 274.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

მ. უ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. აპეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

კ. ი. გძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ბ. ა. თარხანოვი—1—$1\frac{1}{2}$ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1\frac{1}{2}$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ექიმი ქალი **ა. ე. შჩერბინინა**—$1\frac{1}{2}$—2 საათ.—ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

საღამოობით:

პ. ა. არდაზიანი—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს, (მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საქიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი— ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **კ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра **Навасардіана.**

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლღას ქუჩა, № 31.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევს 5 საათიდან 6-მდე. ოლღას ქუჩა, № 15.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი № 13.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კვრინისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათისა.

ვაჭაძე სფირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18 —იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 საათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლი № 157.

პედაგოგთა საყურადღებოდ.

ყველამ ვიცით, რომ კავკასიის ოლქის სასწავლებლებში თითქმის ყველგან ფაქტიურად სწავლა შეწყვეტილია. მართალია, აქა-იქ ზოგიერთა სასწავლებლების ადმინისტრაცია ცდილობს შეგირდები შეიკავოს სასწავლებლის კედლებს შუა და ფორმალურად მაინც განაგრძოს სწავლა, მაგრამ ესეც არა ხერხდება. ძალ ადობის საშუალებით არც ერთი სკოლა დედამიწის ზურგზე კეთილდღეობას არა სწევია, და აბა რა საფიქრებელია, რომ კავკასიაში ამ საშუალებით რაიმე საკეთილო მიზანს მიაღწიოს სამოსწავლო ადმინისტრაციამ. სამხედრო ძალით სასწავლებელთა კეთილდღეობის დაცვა ანტიპედაგოგიური საშუალებაა,—ჭეშმარიტი პედაგოგია უარყოფს ასეთს საშუალებას. ყველა ჭეშმარიტი პედაგოგის იურიდიული და ზნეობრივი მოვალეობაა ხმა აღამაღლოს სკოლაში გამეფებულ ანტიპედაგოგიურ წყობილების წინააღმდეგ და ყველას და ყველგან საჯაროდ ამცნოს, რომ მარტოოდენ საღი პედაგოგიური საშუალებაა ის საიმედო ნიადაგი, რომელზედაც შესაძლოა აღმოცენდეს სასწავლებელში კეთილდღეობა და წესიერება.

ამჟამად თითქმის ყველა სასწავლებელში სრული ანარქიაა გამეფებული. ჩვენს თვალწინ მთელი მოსწავლე ახალგაზდობა ხმამაღლა, მოურიდებლად ჰგმობს და უარყოფს აწინდელ სკოლის რეჟიმს და თავის გაჭირვებულ მდგომარეობის შესახებ ცასა და დედამიწას შესტირის, ყველა საქმის მცოდნეთ შველასა და დახმარებას შესთხოვს.

მეტად საგულისხმიერო და დიდმნიშვნელოვანია მოსწავლე ახალგაზდობის აწინდელი სულიერი მდგომარეობა, რომლის სავსებით გათვალისწინება ყველას ზნეობრივი მოვალეობაა და განსაკუთრებით კი—პედაგოგებისა, რომელთათვის ამ ზნეობრივ მოვალეობას აუცილებლივ იურიდიული მოვალეობაც თან ახლავს.

სამწუხაროდ, ჩვენი პედაგოგები მაგრად სახლში ჩაკეტილან და თითქო გულგრილად შესცქერიან ყველა იმ სამწუხარო ფაქტებს, რომელთაც ასე მედგრად და უშიშრად აღმოხეთქეს სასწავლებლებში დაგუბებულ წუმპის სიღრმიდან.

ვინ უნდა აღამაღლოს ხმა სასწავლებელთა ანორმალურ მდგომარეობის წინააღმდეგ, თუ არ პედაგოგებმა! ვინ უფრო უნდა ზრუნავდეს მოსწავლეთა უმწეო მდგომარეობის შესახებ, თუ არ პედაგოგები!

დიაღ, პედაგოგების მოვალეობაა საჯაროდ ხმა აღამაღლონ სკოლებში გამეფებულ ყოველგვარ უკუღმართობის წინააღმდეგ, მათი აუცილებელი მოვალეობაა სკოლების აწინდელ სენის განსაკურნებლად საღი და შესაფერი სალსარის დასახვა, თუ სურთ, რომ სასწავლებლები თავის დანიშნულებას ღირსეულად ემსახურონ.

მასწავლებლებმა უნდა გამოიკვლიონ სასწავლებელთა აწინდელი ნორმალური მდგომარეობა, აწონ-დაწონონ საქმის ჭეშმარიტი ვითარება და საერთო შეთანხმებით შეიმუშაონ სასურველი პედაგოგიური ზომები, რომელთა განხორციელება სასწავლებლებს კეთილ-დღეობის გზაზე დააყენებს.

ამიტომ, ჩვენის აზრით, საჭიროა დაუყოვნებლივ შეიკრიბონ კავკასიის თვითოეულ ქალაქში ყველა სასწავლებელთა მასწავლებელ-აღმზრდელნი და პირუთვნელად, გულ-ახდილად აღნიშნონ ყველა ის საღი პედაგოგიური ღონის-ძიებანი, რომელთა სისრულეში მოყვანა ჩვენს მოსწავლე ახალ-გაზდობას იხსნის დღევანდელ გაჭირვებისაგან.

ა. მიქაბერიძე.

წერილი ლეჩხუმიდან.

სოფ. მექვენა (ლეჩხუმი). საერთო მოძრაობას არც ჩვენი კუთხე ჩამორჩა: აქაც 16 ამა მარტს სასოფლო ყრილობაზე, რომელიც ადგილობრივი მთავრობის განკარგულებით მოხდა, გლეხებმა გამოაცხადეს თავისი უკმაყოფილება ეხლანდელ მართვა-გამგეობაზე. ყრილობას დაესწრო ადგილობრივი ბოქაულის თანაშემწე თავადი ყიფიანი, რომელსაც ყრილობის მიერ ამორჩეულმა ორმა დეპუტატმა შემდეგ მუხლებში დაუსახა მცხოვრებთა საჭიროებანი:

1. ჩვენ გვყავს დაქირავებული ხუთას-ექვსას მანათად ყოველ წლობით ცხენები, რომლებითაც სარგებლობენ გამვლელ-გამომვლელი ჩინოვნიკები. ნუ თუ ჩვენ, გაღატაკებულმა გლეხებმა, რომელთა უმეტესი ნაწილი ნახევარჯერ თავის ცოლშვილით მშიერ-მწყურვალია, უნდა ვუქირავოთ ცხენი იმ ჩინოვნიკს, რომელიც ათასს მანათსა და მეტსაც იღებს ჯამაგირად. მეტი უსამართლობა განა იქნება! ვითხოვთ მოისპოს ფოსტის ცხენების გლეხებისაგან დაქირავება და, თუ რომელიმე ჩინოვნიკისათვის საჭირო იქნება,—ჯამაგირი აქვს და თავის ფულით იქირაოს, ჩვენ კი ნუ შევვაჯდებიან კისერზე.

2. გზა ყველასათვის საჭიროა,—როგორც გლეხებისთვის, ისე თავადის, აზნაურისა და მღვდლისათვისაც; უგზოდ არც ერთს ცხოვრება არ შეგვიძლიან. მაშ რატომ ხდება ის უკანონობა, რომ გზას მარტო ჩვენ, დაბეჩავებულ გლეხებს, გვაკეთებინებენ და სხვა წოდება კი თავისუფალია!? კანონი და სამართალი მოითხოვს, რომ გზა ყველამ ვაკეთოთ, განურჩევლად წოდებისა.

3. სოფლის სასამართლოში ოთხი იასაული გვიყენია, რასაკვირველია, გლეხების ქირით. ამ იასაულების დანიშნულება ის არის, რომ ზიდონ ფოსტა, ჩააბარონ სხვადასხვა ქაღალდები და გამოუცხადონ მცხოვრებთ მთავრობის სხვადასხვა გვარი განკარგულებანი, რომელთა უმეტესი ნაწილი თავად-აზნაურობას მოსდის. მაშასადამე, უსამართლობად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ჩვენ, გლეხებმა, თავად-აზნაურობას კაცები უნდა ვუქიროთ და მათი ქაღალდები ვაზიდვინოთ. ამიტომ, რადგან იასაული მათთვისაც საჭიროა, ჩვენთან ერთად იმათაც მიიღონ მონაწილეობა იასაულების დაქირავებაში, წინააღმდეგ შემთხვევაში გაგვინთავისუფლონ ჩვენი იასაულები მათი საქმეებისაგან.

4. მღვდლები ორ-ორ მანათს გვახდევინებენ დრამის ფულად. ეს გადასახადი ჩვენ არაფერში არ გვშველის და არ გვეთვლება. იმ დალოცვილ მღვდლებს, გარდა იმისა, რომ ჯამაგირი ეძლევათ ხაზინიდან, სხვა შემოსავალიც აქვთ მრევლისაგან და ეს ჩვენი ნაცოდავი დრამის ფული რაღად უნდათ! მაგრამ ადამიანის ბუნება გაუმაძღარი არისო, იტყვიან,—ისეა. ნათვლა დაგვჭირდება, ზეთის კურთხევა, მკვდრის გასვენება, ჯვრის-წერა ან სხვა რომელიმე მღვდელ-მოქმედება,—ისე ფეხს ვერ მოაცვლევინებთ სახლიდან მღვდელს, თუ გასამრჯელო წინდაწინ არ მიართვი. ნიხრი ხომ იმათთვის არ არსებობს და, ვისაც როგორ მოხვდება, გასამრჯელოს ისე იღებს. ამიტომ უკანონოდ ვსთვლით დრამის ფულს და ვითხოვთ, რომ მოისპოს მისი გარდახდევინება.

5. აღარა ვართ ამის მეტი! ლამის არის სიღარიბისა და გაჭირვებისაგან სული ამოგვხდეს! ამ ათასნაირმა მოუწესრიგებელმა გარდასახადებმა ხომ სულ მიწასთან გაგვასწორა. რა სამართალია, მოვსთხოვოთ გარდასახადი იმისთანა კაცს, რომელსაც სულის გარდა არავითარი სარჩო-საბადებელი აღარ გააჩნია, რომელიც ყელამდის ვალშია ჩაფლული. გადასახადი გადახდეს მხოლოდ იმას, ვისაც შეუძლია? ღარიბ-ღატაკები კი ყოველგვარ გადასახადებისაგან უნდა განთავისუფლდნენ.

6. ეკლესია ყველასია: გლეხისაც და თავადისაც. ყარაულის ქირას კი მარტო ჩვენ, გლეხებს, გვახდევინებენ. რატომ უნდა იყოს ასე? დეე, იმათაც უყარაულონ თავიანთ მკვდრებსა და ეკლესიას.

7. ჩვენგან ამორჩეული სოფლის მოხელეები: მამასახლისი, მოსამართლეები და სხვები უფრო თავის ჯიბის მოსამსახურეები არიან, ვიდრე საზოგადო ინტერესებისა. სასწორ-სამართალი ყოველთვის იმისკენ იწევს, ვისაც შეძლება აქვს. ღარიბისთვის კი მათგან განჩინებული სამართალი უსამართლობა არის და ამიტომ ღარიბი ვერ ღირსებია მათგან სწორს სამართალს და სამართლისაგან ყოველთვის დაჩაგრული გამოდის, როდესაც რამე საქმისათვის იქ მიიქცევა. ამისათვის, თუ ამაზე უკედ არ გვექნება მოხელეებისაგან საზოგადო ან პირადი ინტერესების სისწორით დაცვა, არ გვინდა ისინი და იმათ მაგიერ სხვაფრივ მოეწყოს სოფლის მართვა გამგეობა (იმის ახსნა ვერ შეიძლეს, თუ როგორი მართვა-გამგეობა შეეფერება ახლანდელ დროს და რა ნაირად მოაწყოს საუმჯობესოდ მართვა-გამგეობის საქმე).

ასე და ამგვარად გლეხებმა აღნუსხეს თავიანთი საჭიროებანი.

ბოლოს თ-დმა ყიფიანმა განუმარტა ყრილობას, თუ რაში მდგომარეობს სამხედრო წესები, რომლებიც ამჟამად მთელ ქუთაისის გუბერნიაში მთავრობისაგან შემოღებულია, და რა გზას უნდა დაადგეს ხალხი, რომ არ შეიქნეს მსხვერპლი სასტიკ სამხედრო სამართლისა რამე დანაშაულობისათვის.

ამ დღეებში მოელიან ჯარს, რომელსაც მთავრობა გზავნის რაჭა-ლეჩხუმში მოძრაობის ჩასაქრობად.

ამბობენ, რაჭა-ლეჩხუმის ზოგ სოფლებში უკვე შემოუღიათ გურიის მგზავსად თავისებური მართვა-გამგეობაო. ზოგან ხალხს კიდევაც შეუფიცია ერთმანეთისათვის ერთგულებაზე საერთო მოძრაობის სასარგებლოდ.

დასწვეს ამ კვირაში ჰყვიშის სასოფლო სასამართლო და ორბელის სასამართლო, რომლიდან ცეცხლი სკოლის შენობებზედაც გადასულიყო და გაენადგურებია. სხვაგან სკოლებსა და სოფლის სასამართლოებს ყარაულები უყენია.

გუშინწინ გასტეხეს ბოროტ-გამზრახველებმა დერჩის მაცხოვრის ეკლესია და წაიღეს დიდი ვერცხლის ჯვარი, 80 მან. ღირებული, და ფულად 19 მან. ეს პირველი მაგალითია ჩვენში ეკლესიის გაძარცვისა. ამგარემოებამ ბევრი ძლიერ დააღონა, რადგან ამ გვარი საქციელი მეტად შეუთანხმებულია იმ იდეალთან, რომელიც ახლანდელ მოძრაობას დაუსახავს.

აქაური.

დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

21 მარტი.

რიგა. გორკი მოსკოვს წავიდა.

ლოძი. პოზნანსის სააქციონერო საზოგადოების ფაბრიკის ყველა განყოფილებაში მუშაობა განახლდა.

ასხაბადი. მეშხეთიდან და კუჩანიდან გაქცეულნი რუსეთის ქვეშევრდომნი უკან ბრუნდებიან. სპარსეთის მთავრობამ მღელვარება ჩააქრო.

ბერლინი. პრინცი ჰენრიხი მეუღლითურთ პეტერბურგს გაემგზავრა.—ჩრდილო-დასავლეთ აფრიკაში ახალი ბრძოლა მოხდა. გერმანელებს ერთი ოფიცერი და შვიდი ჯარის-კაცი მოუკლეს.

ათინა. იმპერატორი ვილჰელმი კორფუში 28 მარტს იქნება.

ვაშინგტონი. გარეშე საქმეთა მინისტრი ოფიციალურად უარჰყოფს იმ ხმებს, ვითომც ამერიკის შეერთებულ შტატებსა და გერმანიას მაროკოს შესახებ ახალი ხელ-შეკრულება დაედოთ.

მოსკოვი. ახალ სესხზე ხელის მოწერა მოსკოვში 50 მილიონამდე ავიდა.

მოსკოვი, 21 მარტი. მოსკოვ-კურსკის რკინის გზის სამმართველოს ვაგონებისა და ორთქლ-მავალთა გამგე ნაწილის უფროსმა რევიზორმა კალაშნიკოვმა ამავე ნაწილის უფროსს ძიუბენკოს რევოლვერი ესროლა. მიზეზი კალაშნიკოვის სამსახურიდან დათხოვნა ყოფილა. ძიუბენკოს ტყვია ასცდა.

პეტერბურგი, 21 მარტი. „პეტერბურგის სააგენტოს" დირექტორმა მილლერმა კობეკოს კომისიაში მოხსენება წარადგინა საგაზეთო დეპეშებზე ცენზურის მოსპობის აუცილებლობაზე. მოხსენების აზრს გარეშე საქმეთა სამინისტროც შეუერთდა.

ხარკოვი, 21 მარტი. სამიწადმოქმედებლო ბანკის აქციონერები შუამდგომლობენ, რომ ამ ბანკის მოქმედება გავრცელდეს ბაქოს, ერევნისა და განჯის გუბერნიებსა და აგრედვე ყარსისა და ბათუმის ოლქებზე.

პარიჟი, 21 მარტი. დილით დელკასემ მიიღო ორი დეპუტატი, რომელთაც განზრახვა ჰქონდათ მაროკოს შესახებ შეჰკითხებოდნენ. დელკასემ განუცხადა, საფრანგეთის პოლიტიკა მაროკოს შესახებ არ შეიცვლება და რაც 18 მარტს სენატში სიტყვა წარმოვსთქვი, ვერას დავუმატებო. დეპუტატებმა მოლაპარაკება გადასდეს.

ლონდონი, 21 მარტი. (რეიტერი) დილით უელსის პრინცს მცირე ოპერაცია გაუკეთეს. ბიულეტენი გამოცხადებულია. პრინცს რამდენიმე დღით კარში გამოსვლა აუკრძალეს. ავადმყოფობა საშიში არ არის. ბიულეტენებს ამას იქით აღარ გამოსცემენ.

ბელგრადი, 21 მარტი. მთავრობამ გადასწყვიტა, იარაღის გამოუცდელად მათ შესაძენად მოლაპარაკება დაიწყოს.

პორტ-მაგონი, 21 მარტი, (ვოლფი). დილის 8 საათსა და 30 წუთზე ნავმა „ჰამბურგმა" სამს ესპანიურის კრეისერის თანხლებით ღუზა ჩამოუშვა. ქალაქი მორთულია ბაირაღებით.

სიმბირსკი, 21 მარტი. ქ-ნ ზიჩკოვისას ნება მიეცა გამოსცეს გაზეთი: „სიმბირსკის უწყებები".

ნოვგოროდი, 21 მარტი. გუშინ მდინარე ვოლხოვზე ნავოსნობა დაიწყო.

პეტერბურგი, 21 მარტი. შინაურ სესხზე ხელის მოწერას ყველგან დიდის თანაგრძნობით მიეგებნენ. როგორც უმთავრესს ცენტრებიდან მიღებულ ცნობებიდანა სჩანს, ხელის მომწერთ დააკმაყოფილებენ არა უმეტესს 40 პროცენტისა. ჰააგის დესპანი სტრუვე, ავადმყოფობის გამო სამსახურიდან დათხოვნილ იქმნა. ბულგარიის დიპლომატიურ აგენტს ნახმეტევს უმაღლესად ებრძანა პირადად საგანგებო ელჩისა და მინისტრის რწმუნებულის წოდებით ისარგებლოს.—ვარშავის გენერალ-გუბერნატორის კანცელარიის დირექტორი მენკინი დაინიშნა ლიუბლინის გუბერნატორად.

მოსკოვი, 21 მარტი. 1000 წევრ-ექიმისა და მრავალის სხვის თანადასწრებით გაიხსნა ხოლერის საწინააღმდეგო კრება. თავმჯდომარედ ამოირჩიეს ელპატიევსკი-ჩენკუვი. უადგილობის გამო სხდომა შესწყდა. აზრადა აქვთ კრება ხვალ კონსერვატორიის დარბაზში განაგრძონ.

ტანჟერი, 20 მარტი. (ჰავასი). იმპერატორმა ვილჰელმმა მადლობა უძღვნა აბდულ-მალექს, საგანგებო ელჩის გამოგზავნისა და სტუმრად მიღებისთვის, და უთხრა, ძლიერ დაინტერესებული ვარ მაროკოს კეთილდღეობით და ვიმედოვნებ, რომ თავისუფალი მაროკო ყველა ხალხთათვის ღია იქნება და ვაჭრობის მონოპოლია არც-ერთ სახელმწიფოს არ მიენიჭებაო. ცოტახნის შემდეგ აბდულ-მალექმა გერმანიის საელჩოში წერილი წაიკითხა, რომელშიაც ის აზრი გამოსთქვა, რომ მზათ ვარ გავაფართოვო და განვამტკიცო ჩვენი ძველი მეგობრობაო. ვილჰელმმა მიუგო, თანაგრძნობით და გულწრფელად მსურს მაროკოს განვითარებაო. სულთანის ქვეშევრდომთა კეთილ-დღეობა. ევროპის სახელმწიფოთა და ხალხთა კეთილდღეობაცაა, რადგან ესენი ერთმანეთში თანასწორობის ნიადაგზე ვაჭრობით დაკავშირებულნი არიანო. იმპერატორმა განაცხადა აგრედვე სურვილი, დაცულ იქმნას გერმანიის ინტერესები მაროკოში; ამ მიზნის მისაღწევ საშუალებებზე ვილჰელმი სულთანს, როგორც დამოუკიდებელ ხელმწიფეს, მოელაპარაკება.

იოჰანესბურგი, 20 მარტი. (რეიტერი). გუბერნატორი ლორდი მილნერი სამხრეთ-აფრიკას გამოეთხოვა და ინგლისს გაემგზავრა.

პეტერბურგი, 21 მარტი. «პეტერბურგის სააგენტოს» ცნობა მინისტრთა კომიტეტის სხდომის შესახებ, რომელმაც უმაღლეს სასწავლებელთა მდგომარეობა გაარჩია, არ ყოფილა ოფიციალური. სააგენტოს ეს ცნობები კერძო წყაროებიდან მიუღია.

ვარშავა, 21 მარტი. გამოცხადდა გენერალ-გუბერნატორის დადგენილებანი: აკრძალულია რევოლვერების და მათი ტყვიების გაყიდვა; მაღაზიებს მოვალენი არიან პოლიციას შესანახად გადასცენ ანუსხული რევოლვერები და პატრონები; აკრძალულია ხმარება აგრედვე სხვადასხვა უვნებელ ამაფეთქებელ ნივთიერებათა, როგორიც არის, მაგალითად, ტკაცუნა (ხლოპუშკა) და სხვათა. ტკაცუნებს ხშირად ვაგონებს ქვეშ აწყობდნენ, საზოგადო სახლებში ისროდნენ და მით თავზარსა სცემდნენ საზოგადოებას, თუმცა კი არავითარი უბედურება არა ხდებოდა-რა, მაგ., კაცის კვლა ან დასახიჩრება. ვინც ამ დადგენილებებს დაარღვევს, ადმინისტრატიული წესით დასჯილ იქნება ან 500 მ. ჯარიმით, ან სამი თვით ციხეში დაპატიმრებით.

ოდესსა. გემ «ლაზარევით» მოვიდა მეთერთმეტე ჯგუფი პორტ-არტურელებისა, რიცხვით 39 კაცი. მოვიდნენ აგრედვე სამხედრო გემების 27 მატროსი მადაგასკარიდან წამოსულნი.

ტომსკი. ნოქართა საზოგადოების საერთო კრებამ დაადგინა: რადგანაც ამ ჟამად მუშავდება შრომის შესახები კანონ-მდებლობა და ნოქარ-ალთა ურთიერთობის მოწესრიგების საკითხები ირჩევა, დეპეშით სთხოვონ ფინანსთა მინისტრს, ტომსკის ნოქართა საზოგადოებას ნება მიეცეს თვისი წარმომადგენლები გაგზავნოს ამ კითხვების გარჩევაზე დასასწრებლადაო.

თავრიზი (საკუთარის კორესპონდენტ.). გუშინ მოჰფინეს უსახელო წერილები, რომლითაც მკვიდრთ სომხების ასაკლებად იწვევდნენ. წერილები პოლიცმეისტერმა მოაგროვებინა.

მოსკოვი. საგუბერნიო ერობის სულით ავადმყოფთა სამკურნალოს მოსამსახურენი დირექტორის პირით შუამდგომლობენ: სამუშაო დღის შემცირებისა, სადგომების გაუმჯობესებისა და ჯამაგირების მომატების შესახებ.—ყველა ისინი, ვისაც გადასახლებას მიუსჯიან, ტობოლის გუბერნიაში იქნებიან გაგზავნილნი. ტობოლის გუბერნია ჯერჯერობით ერთად-ერთ გადასასახლებელ განაპირა კუთხედაა მიჩნეული.

როგორც იუწყებიან, დიდის მთავრინის ელისაბედ თეოდორეს ასულის კომიტეტის რწმუნებული გრუჩკოგი იაპონელებს გაუთავისუფლებიათ და რუსების პოზიციებზე მოსულა.

ბელოსტოკი. ვინაიდან ახლანდელ პირობებში წარმოების განგრძობა და მუშათა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება შეუძლებლად დაინახეს, რამდენიმე ცნობილმა მექარხნემ კანონის მიერ აღნიშნული ორი კვირის ვადა დანიშნა, რის შემდეგაც ფაბრიკები დაიხურება.

პეტროპავლოვსკი. 9 მარტის დეპეშაში მოხსენებული ორი გაქცეული ბავშვი პეტროპავლოვსკიდან 130 ვერსზე ქალაქ კოკჩეტავში დაიჭირეს. ერთი მათგანი რეალურ სასწავლებლის მოწაფეა, მეორე—საქალაქოსი.

ტვერი. ტვერის გუბერნია ხოლერის მხრივ საშიშოდ გამოცხადდა.

ბაქო, 20 მარტი. ერთი კაცი ხოლერის მინასგვარ საეჭვო ავადმყოფობით გარდაიცვალა. გვამის ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევას შეუდგნენ. უსახსრობისა გამო ქალაქი არავითარ ზომებს არ ხმარობს.

ვარშავა. გუშინ დიკის ქუჩაზე, სავამომძებლო, ცახესთან ათასამდე ებრაელი მოგროვდა გარდაცვალებულ ებრაელ-ტუსაღის გამოსვენებაზე დასასწრებლად. გზად მიმავალმა პატრულმა მოითხოვა დაშლილიყვნენ, პასუხად ხალხიდან რამდენჯერმე გაისროლეს. ზიანი არავის მოსვლია. მაშინ პატრულმა თავის მხრივაც ხალხს თოფი ესროლა: ორი კაცი მოკლულ იქმნა, ხუთი დაიჭრა.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

21 მარტი.

ტოკიო, 21 მარტი. (ბერლინით). დღეს მიღებულ ოფიციალურ ცნობით, იაპონელთა ერთმა რაზმმა კაიუიანიდან რუსები გამოდევნა და 18 მარტს სოფელი მიანხაცზი და სამხრეთი სიმაღლეები დაიჭირა. სხვა ადგილებში ცვლილება არ მომხდარა.

ტოკიო, 19 მარტი. (დეილი ტელეგრაფი). ყველა საავადმყოფოში სულ 51 ათასი დაჭრილი და ავადმყოფი იაპონელია. 6 ათასი სამკურნალო წყლებზე გაგზავნეს. ხუთ დღეში ვლადივოსტოკის რეიდის ყინული სრულიად გალხვება. ჩინეთის მთავრობა ოპიუმის მონოპოლიას აარსებს. ამ საქმიდან 100 მილიონ იენით სარგებლობას მოელიან.

პეკინი, 21 მარტი. ბოქსერთა აჯანყების შემდეგ, რომელსაც აზრად ჰქონდა რუსებისთვის ხელი შეეშალა მანჯურიის დაჭერაში, დაარსდა შანჰაელი გაზეთი «ალარმინგბელი»(ნაბათის ზარი). ამ დროსვე დაარსდა რუსეთის საწინააღმდეგო ლიგა. ერთი წლის შემდეგ გაზეთმა აალელვა საზოგადოება ევროპიელების წინააღმდეგ, დაუახლოვდა იაპონელებს და ყვითელ კანიანების ინტერესების დაცვა დაიწყო. თეთრ კანიანებს, მთავრობის უმაღლეს პირებსა და მოხელეებს კი უზრდელად ლანძღავდა. გაზეთმა გავლენა იქონია ხალხზე და აჯანყა კიდეც, რაიცა ნათლად სჩანს აღევის პროცესიდან. რედაქტორის იაპონიაში გაპარვამ ხომ სრულიად დაამტკიცა, თუ ვინც იყო გაზეთის ხელმძღვანელი.

პეტერბურგი, 21 მარტი. უქვეშევრდომილესი დეპეშა გენერალ ლინევიჩისა ოცის მარტის თარიღით: ჯარებში წუხანდელ ღამეს არავითარი ცვლილება არ მომხდარა. მარცხენა, სულ განაპირა ფრთეზე, 15 მარტს ღამე, ჩვენი მზვერავების პოდესაულ ეკსეს და პოდპორუჩიკ ტროცკის უფროსობით ს. ზანშკანჩენში გარს შემოერტყნენ მტრის ექვს მზვერავ დრაგუნს. ხუთი მათგანი მოკლულ იქმნა, ერთი ვახმისტრი ტყვედ წამოიყვანეს.

ტოკიო, 21 მარტი. (რეიტერი). ოფიციალურად იუწყებიან, იაპონელებმა კაიუანთან უკან დასწიეს რუსები მენხუაკიდან და დაიჭირეს სოფელი, რომელიც მთის ჩრდილოეთით მდებარეობს. სხვა ადგილებში არავითარი ცვლილებ არ მომხდარა.

პეკინი, 21 მარტი. წარსულ თებერვალში იაპონელი მუშები სვიაძუ-ჯაოჯოუფის რკინის გზას აკეთებდნენ; ამათ თავს დაესხა ათასი ჩინელი, ინჟინერი და ორი მუშა მოჰკლეს. რკინის გზის კეთება შეჩერებულ იქმნა. ამის მიზეზად ასახელებენ მცხოვრებლების სიძულვილს ყოველისფერ ახალისადმი და ჩინელ სტუდენტების წინააღმდეგობას უცხოელებისადმი, რადგანაც ამათ გაჰყავთ იქ სხვადასხვა გზები. დამნაშავენი დააპატიმრეს. იაპონიამ თავისი ელჩი ამეოში გაგზავნა და იქ ჩინელ მოხელესთან ერთად საქმეს გამოიძიებს. გამოძიების ცნობები პეკინში მოვიდა; ჩინურ გაზეთებს ცნობებზე მსჯელობა აქვთ.

(ღამის დეპეშები იხ. მეოთხე გვერდზე)

ჟურნალ გაზეთებიდან.

ომის ამბები. შანჰაიდან იუწყებიან: ოიამას ჯარი განუწყვეტლივ მისდევს რუსებს. გენ. კავამურას ჯარმა ხაილუნჩენი დაიჭირა (გირინის გზაზეა) და გენ. ლინევიჩის ჯარს გაუსწრო. დიდ გზით მიმავალმა ჯარმა (ნოძუ და ოკუ) ლანხუანჯანი აიღო. ლანხუანჯანი 40 ვერსის მანძილზე მდებარეობს კაიუანიდან ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით. რკინის გზით მიმავალმა ჯარმა აიღო მაანხუანგაი (ჩანტუფუდან 40 ვერსის მანძილზეა, რკინის გზის აღმოსავლეთით) და ბამიანჩენი (რკინის გზის დასავლეთით, 35 ვერსის მანძილზე). ბამიანჩენი ფაკუმენიდან (მონგოლიაშია) ჩრდილოეთისკენ მიმავალ გზაზე 85 ვერსის მანძილზე მდებარეობს. ამ ქალაქს, უეჭველია, ის ჯარი აიღებდა, რომელმაც მარტის დამდეგს ფაკუმენი აიღო და ჩრდილოეთისკენ გაემართა (რ.).

რუსეთის ჯარის უკან დახევა. „მატენს“ პეტერბურგიდან ატყობინებენ: რუსები შიშობენ, ვაი თუ ფაკუმენიდან ციციკარისკენ მიმავალმა გენ. ნოგიმ მოახერხოს და ხარბინის გზა მოგვიჭრასო. აქ დარწმუნებულნი არიან, რომ სამიოდე კვირის შემდეგ ბრძოლის ველზე ისევ დიდი ამბები მოხდება. როგორცა სჩანს, იაპონელები წინანდელ შეცდომის ჩადენას აღარ აპირობენ და უკან წამოსულ რუსებს მოსვენებას არ აძლევენ. (რ. ს.).

რუსეთ-იაპონიის ომი და ფრანგ-რუსთა კავშირი. საფრანგეთის საზღვაო მინისტრად ნამყოფი (კომბის სამინისტროში) ცნობილი სოციალისტი პელტანი გაზეთ „მატენ“-ში ამტკიცებს, რუსეთი უძლეველი კი არა, ძალიან სუსტიაო. რუსეთში ას მილიონზე მეტი გლეხია, მაგრამ მებრძოლი, ნამდვილი სალდათი ძალიან ცოტაა. რუსი გამბედავიც არის, ყურმოჭრილი მონაც, მაგრამ სალდათის გაწვრთნა და სამხედრო საქმის ცოდნა სულ სხვადასხვაა. არა,—სწერს პელტანი,—რუსეთის მებრძოლთა თანხა უშრეტი არ არის. აბა, მოიგონეთ წარსული: სევასტოპოლის ომის დროს ბუმბერაზმა რუსეთმა ვერ მოახერხა და ნაპირზე გადასული ერთი მუჭა ევროპიელი ჯარი ზღვაში ვერ გადაყარა. პლევნასთან ბრძოლის დროს უშველებელ რუსეთს ავადმყოფმა და სნეულმა ოსმალეთმა აჯობა; მერე კი რუსეთმა ოსმალეთი მხოლოდ პაწაწკინა რუმინიის შემწეობით დაამარცხა. ეხლა იაპონიის ომი აიღეთ... რუსეთის მთელი ისტორია მუდმივი დამარცხებაა; მაგრამ დამარცხება ჯარის მიზეზი კი არ არის, არამედ ის ქურდ-ბაცაცობა და უვიცობა, რომელიც ყოველთვის ჯარს ხრწნიდა და ღუპავდა. თუ რუსეთმა მანჯურიაში საუკეთესო ჯარი გაგზავნა, დასავლეთი საზღვრები დაუცველი დარჩება. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. რუსეთის მთავრობამ დიდი ანგარიში უნდა გაუწიოს შინაურ მოძრაობას, რომელიც თანდათან გამწვავდება და გადიდდება, რადგან მთავრობა ხალხს არაფრის დათმობას არ უპირობს. ამას ის მოჰყვება, რომ ევროპა რუსეთს, როგორც სამხედრო სახელმწიფოს, ყურადღებას აღარ მიაქცევს. ვთქვათ, ომის ბედმა რუსეთსაც გაუღიმა,—თუმცა კი ეს შეუძლებელია, რადგან რუსეთის მთავრობა თავის ჯარის დამარცხების მიზეზების მოსპობას არ აპირობს, მაგრამ, ვთქვათ, რუსეთმა გაიმარჯვა. ვაი ამ გამარჯვებას! რუსეთი დასუსტდება, დაეცემა და იძულებული იქმნება ევროპის საქმეებში აღარ ჩაერიოს. მერე რაღა დარჩება ამას შემდეგ ფრანგ-რუსთა კავშირისგან? მარტო სახელი. ნუ დაივიწყებთ, რომ ავსტრო-უნგრეთის იმპერატორი ფრანც-იოსები დღეს-ხვალ გარდაიცვლება და მონასტერიც აირევა. გერმანიის იმპერატორი საქვეყნოდ ქადაგობს, რომ ავსტრო-უნგრეთის გერმანელები და სლავიანები უნდა შემოვიერთოთო. ეს ამბავი რომ მოხდეს, რას იზამს რუსეთი? ჩვენცა და მთელმა ქვეყანამაც ვიცით, რომ გერმანიის იმპერატორი ცხარეთ იცავს რუსეთის ინტერესებს შორეულ აღმოსავლეთში. იგი მზად არის რუსეთს ჩინეთი, მანჯურია და თვით იაპონიაც აჩუქოს. გერმანიის იმპერატორი რუსეთს ურჩევს—და შეელის კიდევაც—შორეულ აღმოსავლეთის მახეში გაები, რადგან აქ, ევროპაში, მე ხელფეხი გამეხსნება და თავისუფლად ვითარეშებოო.

ეხლანდელ იმპერატორის პაპამ საფრანგეთს ხელი შეუწყო, მექსიკის ომში გაება და თვითონ კი აქ თავის საქმეები გაარიგა; ბისმარკმა საფრანგეთი ტონკინს მიუსია და თვითონ კი ევროპაში ხელი მოითბო. გერმანიის ეხლანდელი იმპერატორიც ასევე იქცევა: რუსეთს გულმტკივნეულად და თანაგრძნობით შორეულ-აღმოსავლეთისკენ ხელსა ჰკრავს, აქეზებს, შველის კიდევაც. მიზეზი ცხადია. დასასრულ პელტანი ამბობს: რადგან საფრანგეთი რუსეთის საქმეებში დაინტერესებულია, ამიტომ საფრანგეთმა უნდა ითავოს და რუსეთს ომი შეაწყვეტინოსო (ნ.).

ზავი. ზავის შესახებ ისევ დაჟინებით ლაპარაკობენ. ვაშინგტონიდან იუწყებიან, პრეზიდენტი რუზველტი იაპონიისა და რუსეთის ელჩებს მოელაპარაკა, მაგრამ ვერას გახდაო. ხელს მხოლოდ კონტრიბუცია უშლის. ამბობენ, იაპონია, სულ ცოტა, ერთ მილიარდ მანათს თხოულობსო. რუსეთი არ თანხმდება და ომის გაგრძელებას აპირობს. იაპონიაც უარზეა, არ დავუკლებთ და, თუ გაჯიუტდა, მოვუმატებ კიდევაცაო. ზოგი ამბობს, რუსეთი ციმბირისკენ დაიწევს და კონტრიბუციას კი არ მისცემსო. იაპონელები ამბობენ, რუსეთს ციმბირში არ გავყვებით, მთელ მანჯურიას დავიჭერთ, რუსეთს კამჩატკას, პრიამურის ოლქს, ვლადივოსტოკსა და სახალინს წავართმევთ, გავმაგრდებით და ჩვენთვის ვიქნებით. ნუ მოგვცემენ კონტრიბუციას. კატას ფილტვი ესროლეს და მეც ეგ მინდოდაო. იმოდენა ადგილებს წავართმევთ და არც მაშინ მოგვცემს!(ნ.)

„ლოკალ ანცაიგერ“-ს ლონდონიდან ატყობინებენ: ინგლისური გაზეთები ამტკიცებენ, ვითომ საფრანგეთმა ევროპის სახელმწიფოებს სთხოვა, რუსეთსა და იაპონიას უშუამდგომლეთ, შეარიგეთ და შორეულ-აღმოსავლეთში მშვიდობიანობა ჩამოაგდეთო. ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრმა ლანსდოუნმა მინისტრები შეკრიბა, ეთათბირა და საფრანგეთის ელჩს გამოუცხადა: მორიგების შესახებ ლაპარაკს პირველად ინგლისი ვერ ჩამოაგდებს. თუ ინიციატორობა იკისრა ვინმემ, ინგლისი დაეხმარება და ყოველ ღონეს იხმარს, რომ მშვიდობიანობის დამყარებას ხელი შეუწყოსო (რ. ს.).

საფრანგეთის ბურჟუაზია და რუსეთის ახალი სესხი. ამას წინად საფრანგეთის გამოჩენილ ანატოლ ფრანის თავმჯდომარეობით პარიზში დიდი მიტინგი გაიმართა. კრებამ დაადგინა: ყოველნაირი ხერხი და საშუალება ვიხმაროთ და რუსეთს საფრანგეთში ფული აღარ ვასესხებინოთო. კრებაზე თვით ფრანსმაც ილაპარაკა, ცნობილმა ისტორიკოსმა სენობოსმაც, ოქტავ მირაბომაც და სხ.; სენობოსმა განაცხადა—პალატაში პროტესტი უნდა გამოვუცხადოთ საფრანგეთის მთავრობას, რომელიც პარიზის ბირჟასა და საფრანგეთის ბურჟუაზიას ხელს არ უშლის რუსეთს ფულის სესხებაში. ისე გამოდის, რომ რუსეთი მხოლოდ საფრანგეთის ფულით ომობს,—სთქვა სენობოსმა,—ამიტომ ყოველნაირად უნდა ვეცადოთ და ფული აღარ ვასესხოთო. იაპონიამ ხელი გაუწოდა განათლებულ ევროპას და სავსებით შეითვისა თანასწორობისა და თავისუფლების ის პრინციპები, რომელიც საფრანგეთის დიდმა რევოლიუციამ დაამყარა, და ამიტომ ჩვენ სრულს პატივსა ვცემთ იაპონიას, როგორც თავისუფალსა და განათლებულ სახელმწიფოს. (ჩ. პ.).

ახალი მობილიზაცია. „მორნინგ პოსტ“-ს პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: სამხედრო წრეებიდან დანამდვილებით გავიგე, რომ ამ ცოტა ხანში რუსეთში დიდი მობილიზაცია უნდა მოხდეს. გადაწყვეტილია, რომ ომში გაწვეულ ჯარს იარაღს აქ, რუსეთშივე კი არ დაურიგებენ, არამედ ბრძოლის ველზე. ეს განკარგულება იმიტომ მოახდინეს, რომ ეშინიანთ, შეიარაღებულმა ჯარმა აქ, რუსეთში, უწესოება არ მოახდინოსო (ჩ. პ.).

კორესპონდენტების დეპეშები. «რუს».-ის კორესპონდენტი ბერლინიდან იუწყება: გერმანელები ძალიან ნანობენ, რომ იაპონიის სესხზე ხელი არ მოაწერეს. ეხლა გერმანელი ბანკებმა პირი შეჰკრეს, გამოვა თუ არა იაპონიის ახალი სესხი, სულ ჩვენ ავიღოთო. მთელ გერმანიას იაპონია ცამდე აჰყავს ეხლა ყოველი გერმანელი, პატარა ბავშვიც კი, კვეხულობს და ამაყობს, იაპონელები გერმანელმა ოფიცრებმა გაწვრთნესო (რ.).

არაჩვეულებრივი კომისია. ამ ჟამად პეტერბურგში განსაკუთრებული კომისია მუშაობს. კომისიამ უნდა გამოარკვიოს, როგორ მოეწყოთ კვანტუნის ნახევარ კუნძულის (პორტ-არტური, დალნი და სხ.) მართვა-გამგეობაო. ეს კომისია თურმე დიდ ფაცი-ფუცშია: მასალებს აგროვებს, სხვადასხვა სამინისტროებს ეკითხება, თავის დადგენილებასა და დასკვნას დეპარტამენტებში გზავნის და იმედი აქვს, მუშაობას მალე გაათავებს. ამ დღეებში ეს კომისია სამიწადმოქმედო სამინისტროს შეეკითხა, როგორ ფიქრობთ, რანაირად უნდა მოეწყოს ტყის საქმე კვანტუნშიო. ამ ამბის გამო «ნოვ. ვრ.»-ი ამბობს, ეს კომისია, უეჭველია, მთვარიდან იქნება ჩამოვარდნილიო. „სლოვო“ უმატებს: ღვინო არსად იყო—ეშმაკები—ტიკჭორებს ბერავდნენო. (ნ. ვ.).

ახალი ამბავი

გუშინ ტფილისში **თამამშევის ქარვასლისა და სხვა სამანუფაქტურო მაღაზიების ნოქრები გაიფიცნენ**, მუშაობაზე ხელი აიღეს და მაღაზიების პატრონებს თავიანთი მოთხოვნილებანი წარუდგინეს. ნოქრები თხოულობენ: 1) 8 საათის სამუშაო დღეს. 2) საქონლის გაყიდვას წინდაწინ აღნიშნულ ფასებში (უკაპროდ). 3) მუშტრების მიხმობის მოსპობას. 4) წელიწადში ერთი თვით სამსახურიდან განთავისუფლებას ჯამაგირის შენახვით. 5) ნოქრების მიღება-დათხოვნის უფლება თვით ნოქრებისაგან, 6) პროცენტების მოსპობას. 7) ჯამაგირის მიცემას თვის შუა რიცხვებში 8) ნოქრების სამსახურიდან დათხოვნის ერთი თვის წინად გამოცხადებასა და სხვა.

◆ **გუშინ გაიფიცნენ და მუშაობას თავი დაანებეს ტფილისში** ლუდის 4 ქარხანის ყველა მუშებმა. მათი მოთხოვნილებანი: 1) 8 საათის სამუშაო დღე, 2) ჯამაგირების მინიმუმი—20 მან. და ვინც 20 მანათზე მეტს იღებს, ხუთ-ხუთი მანეთის მომატება, 3) სადგურების ჰიგიენური მოწყობა, 4) ცოლშვილიან მუშებისთვის ცალკე სადგომები, 5) კვირა-უქმე დღეს მუშაობიდან განთავისუფლება, 6) ავადმყოფობის დროს ერთი თვის განმავლობაში ჯამაგირის ძლევა და სხვადასხვა.

◆ 21 მარტს **გაიფიცნენ** მნაცაკან მარტიროზიანცის **სტამბის მომუშავენი** და მუშაობაზე ხელი აიღეს. გაფიცვა მესტამბის-მიერ ერთის მუშათაგანის დათხოვნამ გამოიწვია. მუშები დათხოვნილ ამხანაგის უკან მიღებას თხოულობენ.

◆ რკინის გზის მე-13 ნაწილის **რემონტის მუშათა გაფიცვა** (ყარსის შტოზე) **თანდათან უფრო მწვავდება.** კარაკლისსა და სანაინს შორის ტელეგრაფის მავთულები გადაჭრილია.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის მე-14 ნაწი-

ფელეტონი

გზა-და-გზა

(შთაბეჭდილებანი)

თითქო ხალხს დაავიწყდა, რომ შორეულ მანჯურიაში სისხლის ნაკადული სჩქეფს, იხოცება აუარებელი ხალხი, გრძელდება ომი და მის დასასრულს ჯერ ვერავინა ჰხედავს.

ტფილისიდან დაწყებული ბათუმამდე არც ერთ კაცს არაფერი არ უთქვამს ომზე. შარშან ამ დროს ყველას პირზე ომი ეკერა, ყველა იმაზე ბაასობდა, გაცხარებით ამტკიცებდა ამა თუ იმ მოსაზრებას ომის ტაქტიკისა და გეგმის შესახებ.

ეხლა... თვით საშინელმა სისხლთ ნიაღვარმა მუკდენთან და ცხადმა ზურგის ჩვენებამ, ე. ი. უკან დახევამაც კი, ცოტათი აახმაურა ხალხი.

დრონი მეფობენო,—სწორედ რომ მეფობენ. „ბუნტობა“, „ერთობა“, გურია, ქართლი,—აი რა გესმის ირგვლივ.

ბათუმის სადგურზე რომ ჩამოვხტი და გავედი ქუჩაში, თვალში მეცა პირველად სალდათის გამოწყობილი ხიშტი, თოფზე გაკეთებული. ქალაქში ასეთი ხიშტიანი სალდათები?! ცოტათი მოფიქრების შემდეგ გამახსენდა, რომ აქ „ვოენი პოლოჟენიე“-ა შემოღებული. მომაგონდა, რომ ომის ვითარება და დენა თავის თავად მიდის და მისი აუცილებელი შედეგი ბათუმში ცხადდება «ვოენი პოლოჟენიის» მდგომარეობით.

ბათუმი ხომ ისეც ძალიან წააგავდა გარეგნულად საომრად მომზადებულს ქალაქს და ახლა ხომ პირდაპირ თვალში ეჩხირება ყველას ეს მოვლენა.

ეს ქალაქი შემორტყმულია წინიდან ზღვით, ხოლო ირგვლივ მუდამ ამართულ ბუმბერაზ ზარბაზნით, რომელსაც დარაჯობს მრავალი სალდათი.

განა ყველა ეს არა კმარა მტრის მოსაგერებლად?

ეტყობა, არ კმარა... ადმინისტრაციამ აუცილებელ საჭიროებად სცნო ყოველ ქუჩაზე რამდენიმე სალდათი და კაზაკ-რუსი დაეყენებინა. ყოველ ბანკთან, დიდ რესტორანთან, სასტუმროსთან, სადგურებთან, ერთის სიტყვით—ყველგან შეგიძლიანთ იხილოთ ეს ქალაქის მცველნი და იგრძნოთ მათი მოქმედება, თუ ვინიცობაა გამოელაპარაკეთ...

არ დაუვიწყნიათ აგრეთვე სასწავლებლებიც... მაგალითად, გიმნაზიის შესავალ კარებთან ჩამწკრივებულან კაზაკთა ცხენები ხოლო თვით კაზაკები კი იქვე ახლოს ბულვარზე დასეირნობენ და სტკბებიან ზღვის მოუსვენარ ტალღების ნავარდით.

16 მარტს შაგირდებს გადაეწყვიტათ, სწავლაზე ხელი ავიღოთო; კრებაზე უმეტესობას თანხმობა განეცხადებინა, ხოლო უმცირესობას—უარი. როდესაც საქმე განხორციელებამდის მივიდა, აღმოჩნდა, რომ უმრავლესობა სწავლის მომხრე იყო, ხოლო უმცირესობა კი—წინააღმდეგი.

დღეს უმრავლესობა ისევ ძველებურად „გაკვეთილებს“ სწავლობს, უმცირესობა კი ბულვარზე დასეირნობს, რადგანაც მათ ინსპექცია გამორიცხულად სთვლის...

მშვენიერი წინადადება შეიტანა ამას წინად ტფილისის თავად-აზნაურთა კრებაზე ერთმა ბატონმა თავადმა: პრესსა არის მიზეზი მოძრაობისა გურია-იმერეთ-ქართლშიო და, როგორც აუცილებელი საშუალება ამ მოძრაობის მოსასპობად, პრესსას უნდა დაეელოს, აღარა სთესოს ხალხში „განხეთქილების“ თესლიო.

არ ვიცი, რამდენად მავნეა პრესსა, მაგრამ ამას კი ვიტყვი, რომ ის თავადიშვილი მართალზე მართალი იყო. და აი, რატომ: თუ პრესსა მავნეა,—საჭიროა მისი ფრთების შეკვეცა, თორემ, ვინ იცის, რას არ წარმოშობს, თუ იგი აულაგმავი დარჩა.

მაგალითად, ბათუმელი ქართველები ერთმანეთს თავ-პირს ამტვრევენ გაზეთების გულისთვის. იქ, სადაც ქართულ გაზეთების დროებითი საწყობია, გამყიდველს მოსვენება არა აქვს; არიქა, ბატონო, მე დღეს გაზეთის მოტანა დამიგვიანეს და რავა იქნება მაგიო,—გაიძახიან ყველანი, ვინც აქ მოდიან. მოდიან არა თითოოროლა, არამედ—ასობით. მოდის, ვისაც სცალიან, და ვისაც არა სცალიან, ის ხომ ითმენს და იკლავს გულში გაზეთის კითხვის სურვილს.

ჩემ წინ ერთი მეჩექმე და ყოველ დილით მეგაზეთე მიართმევს ხოლმე გაზეთს; ამისთანა მაგალითები რამდენიც გინდათ.

ამრიგად, გაზეთები ბლომად საღდება, შიგ დაბეჭდილი, თავადის აზრით, მავნე იდეები ვრცელდება და ასე ჩვენს „კურთხეულ“ სამშობლოს ბოროტება ედება...

მე ვურჩევდი თავადს, წინადადება ასე შეეტანა: რადგან პრესსა მავნებელი ელემენტია ჩვენს სიმშვიდის მოყვარე ცხოვრებაში, საჭიროა მისი ძირიანად აღმოფხვრა.. მაშასადამე, ძირიანად მოსპობა გაზეთებისა!..

ბათუმელ ქართველობას გაზეთების მოსპობა არ მოეწონებოდათ, მაგრამ მათს „მოწონებას“ რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. მათ «ვოენოე პოლოჟენიეც» არ მოსწონთ, მაგრამ სალდათები მაინც ჩაუყენეს...

ბათუმის მაჯის ცემა მიყუჩებულია, აღარ არის სიცოცხლით სავსე მოძრაობა ირგვლივ, რკინის გზის სადგურებზე, ნავთ-სადგურებზე, ქარხნებში და სხვაგან.

როტშილდისა და მანთაშევის ქარხნების მთლად დაკეტვას აპირობენო,—ამბობენ მუშები,—და მომავალი სიმშილის სურათის შიშით ევსებათ გული. მაგრამ იმედს მაინც არა ჰკარგავენ,—როგორც იქნება თავს გავიტანთო.

რა ბედნიერი ხალხია,—ნეტარება მათ ამ დიად ოპტიმისტობისათვის!.

და სიტყვას რომ საქმედაც აქცევენ, კარგი ეს არის და!..

ამას წინად რამდენიმე დღე გემები მოდიოდნენ, ხოლო აქაურ ნავთ-სადგურიდან ველარ იძვროდნენ, რადგანაც გადმომტვირთველი მუშები არ იყვნენ.

საქმე ფერხდებოდა, საქონელი ფუჭდებოდა, პატრონები საქონელს თხოულობდნენ, დიდი აყალმაყალი,—მუშები არა ნებდებოდნენ და... თავისი გაიტანეს. ერთი უმთავრესი მოთხოვნილებათაგანი აუსრულეს,—თითოს თვეში 5 მანათი მოუმატეს.

ბევრს ლაპარაკობენ „ბათუმის კომიტეტზე“, განსვენებულმა პალმმაც ამოიღო ხმა, ალსავსე ტირილ-ვაება კვნესა-ვედრებით... სჩივის: — „კომიტეტმა“ ძალმომრეობა გამოიჩინა და გაზეთის გამოცემა ამიკრძალაო.

საკვირველია, თვით ხსნის ბატონი პალმი, „კეთილ-მოსაზრება“ გამოვიჩინე და იმიტომ შევაჩერე გაზეთიო.

ორი დღე დავრჩი ბათუმში და ძლიერ მომწყინდა. სიცოცხლეს მოკლებულია დღეს ეს ქალაქი. ვეღარ ვუძლებ მისი ცხოვრების ერთნაირ, უცვლელ მსვლელობას. დრომ დამაჩვია არა-ჩვეულებრივ, მოულოდნელ ამბების მოსმენას,—აქ კი ასეთი რამე არაფერი მესმის...

სჯობს გავშორდე.

თუმცა სჯობს კი?—უარეს მიყრუებულ ადგილებში მივემგზავრები...

ი. ხ.

სვანეთის გლეხთა მდგომარეობა

მართალია, ამ ორმოცი წლის წინათ სვანეთშიაც გამოცხადდა უდიდესი რეფორმა—ბატონყმობის მოსპობა,—მაგრამ სვანეთისათვის იგი მხოლოდ ქაღალდზედ დაწერილი აქტი გამოდგა და საქმით კი სულ წინააღმდეგსა ვხედავთ. ამ ორმოცი წლის წინად რაც მოხდა, მოხდა, ეხლა ვიკითხოთ: რა დამოკიდებულებაა ამ ჟამად ბატონთა და ყმათა შორის?

არა მგონია, სადმე ისეთს აუტანელს პირობებში იყოს ჩავარდნილი ყმა, როგორც სვანეთში. შევეხოთ ჯერ სადადიშქელიანო სვანეთს, რომელსაც შეადგენს ბეჩოსა და ეწერ-ცხომარის საზოგადოებანი. ამ სოფლებში გლეხი ყველაფრით დამოკიდებულია თავადებისაგან; გარდა ღალისა, გლეხი თავის ბატონს ბევრგვარს გარდასახადებს აძლევს. არის მოსახლე, რომელიც წელიწადში ბატონს ფულად აძლევს 6—8 თუმანს; იხდის „საწისქვილოს“ ორ-ორ მანეთს წელიწადში, ხე-ტყისას ცალკე, კირისას ცალკე. ამან თქვენი ჭირი წაიღოს, ბატონისაა კარგი დეკეული, ხარი, ხორბალი და, თუ არ გამიჯავრდებიან, ლამაზი ქალიც! ყოველსავე ამასა გრძნობს საწყალი გლეხი, მაგრამ რა ჰქნას? სიტყვაც რომ აკადროს ბატონს, სამუდამოდ უნდა გამოესალმოს იქაურობას, ან და ბატონის ფერხთა მტვერი უნდა შეიქმნეს. ბატონს შეუძლიან უქიროდ იყოლიოს ყმაწვილი ბიჭები და ამის უარს ვერავინ ვერ ეტყვის. ბატონთან (ზოგიერთთან) გლეხი ცუდის მეტს არასა სწავლობს. იწვრთნება ქურდობასა, მრუშობასა, შარსა და ყოველსავე ცუდში; ყოველივე ეს ერთის მხრით მუქთად მყოფობის შედეგიცაა. ერთს ბატონს ამისთანა მუქთა-ხორები ჰყავს 70—80-დე. რა დიდს ცოდვასა სჩადის თავადი, რომ იცოდეს (და რომ იცის,—ეჭვს გარეშეა), როდესაც ამდენს ხალხს საკუთარს კერას აშორებს, არც ჭკუისა და არც ფიზიკურს საზრდოს არ აძლევს და დაზანტებულს, ყოველსავე ოჯახურ უნარს მოკლებულს, უბრუნებს ისევ კერასა, სადაც იგი ხდება ოჯახის გამოუსადეგარ წევრად. აქ ბატონმა რომ მოინდომოს, აჰყრის მოსახლეს, წაართმევს საცხოვრებელს და მათხოვრად დასტოვებს, აქ ბატონი ხელუხლებელია და არავისთან პასუხს არ აგებს.

ყოველსავე ამას მოჰყვა ის, რომ ასეთს შევიწროებულს პირობებში მყოფმა ბევრმა მიატოვა სამშობლო მიწა-წყალი და ლუკმა-პურის საძებნელად მთელის ოჯახობით დალისაკენ გაეშურა, მაგრამ, მოგეხსენებათ, გლეხისათვის სამართალი არ წერებულა და საცოდავნი ვერც დალში გამაგრდნენ და სვანეთსაც მოსწყდნენ...

ახლა სადადიანო სვანეთს დავუბრუნდეთ. არც აქ არიან გლეხები უკეთესს პირობებში: უმეტესი ნაწილი გლეხთა თ. მინგრელსკის ეკუთნის, უმცირესი ნაწილი თ.თ. გელოვანებსა და გარდაფხაძეებს. დადიანის გლეხნი უფრო ბატონის ვექილ-აგენტებისაგან არიან შეწუხებულნი. სისხლის მწოველ წითელ-თავა ბუზებისაგან არაფრით არ განირჩევიან წვრილნი თავადნი: ამათს თავნებობას არა აქვს საზღვარი. რომ ნათლად წარმოიდგინოს მკითხველმა ხსენებულ თავადების რაინდობა, მოვიყვანთ რამდენსამე მაგალითს. სოფელში ტირილი. ჰქონია მოსახლეს, რომელმაც სხვასთან ერთად ძროხაც გაჰყიდა არაყ-პურში. ადგილობრივს თავადს ეს რომ გაეგო (ძროხა მოსწონებოდა), ტირილზე მოიხმო მყიდველი, საყვედურთან ერთად სილაც მისთავაზა და ძროხის წართმევასაც დაემუქრა... საწყალმა გლეხმა დასტაცა ხელი ძროხის ნაფასს არაყ-პურსა და გააქანა შინისაკენ. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა მდგომარეობაში უნდა ჩავარდნილიყო ამოდენა მოპატიჟებულ ხალხის მხედველი ჭირისუფალი! ძროხაც თავადს და სხვა საჩუქარიც?!.. მეორე თავადმა საძოვარზე თხა მოუკლა ბერდანის თოფით გლეხს მხოლოდ იმიტომ, რომ ბატონის დაუკითხავად გაბედა თავისი ცოლის წაყვანა მშობლების სახლიდან... თხა თხად დაეკარგა და საწყალი გლეხი იძულებული შეიქმნა კიდევ პირიქით შეხვეწნოდა თავ-გასულ თავადსა და დაესაჩუქრებინა იგი. რატომ? იმიტომ, რომ ის თავადია და ეს „გლეხი“, „ყაძახი“, „პირუტყვი“! მესამე თავადი წაექომაგა ვერაგს, მისგან მოყვანილს ვაჭარ-სომეხს იმისათვის, რომ გლეხმა ცოლის გაუპატიურებისათვის სილა გაარტყა ჩარჩს, და საწყალს გლეხს კიდევ პირიქით გადაახდევინა 20 მანათი. რატომ? იმიტომ, რომ ერთი თავადია და მეორე „გლეხი“, უმწეო, მონა-მორჩილი!... მეოთხე თავადი გალახვას დაემუქრა გლეხს იმისათვის, რომ მან არაყი არ დაალევინა (არა ჰქონდა) შეშინებული იძულებული შეიქმნა ჟუმანი ეჩუქებინა ქედმაღალ თავადის კოპწია ცოლისათვის!... რატომ? იმიტომ, რომ ერთი კეთილშობილია, მეორე „ყაზახი“. . მეხუთე თავადმა უმწეო ურიას ცემა-ტყეპით გვერდები ჩაალეწა. როგორ გაბედე და ჩემ მიერ მოყვანილ სომეხს შემდეგ სოფლის საზოგადოებაში შენც ვაჭრობა დაიწყეო. ამას არ დასჯერდა და საჩუქრებიც მიატანინა! რატომ? იმიტომ, რომ ერთი ძლიერია, ხოლო მეორე უძლური.... მეექვსე თავადმა—როგორ თუ ჩემი ნაყმევი გამილახეო,—უღელი ხარი წაართვა უპატრონო გლეხს. მეშვიდე, მერვე, მეცხრე და მეათე თავადებმა მთაში ცხენები დაიჭირეს, ბევრი ხდნეს და ცოცხალ-მკვდარნი უკან დაუბრუნეს. გლეხებმა ამაზე ხმა როგორ დასძრათო და თავადებმა ცხენები მოიტაცეს და,

ლის უფროსი ინჟენერი კრაკოვსკი დეპეშით ატყობინებს რკინის გზის გამგეობას: 21 მარტს **რემონტის მუშები და გზის დარაჯნი გაიფიცნენ** და მუშაობაზე ხელი აიღეს, **რკინის გზის ლიანდაგი უპატრონოდ დარჩაო.**

✦ ალავერდის სპილენძის ქარხანაში მუშაობს 2,000-მდე სპარსეთის ქვეშევრდომი; **სპარსელი მუშები გაფიცულან და უწესოებაც მოუხდენიათ.** ქარხნის ადმინისტრაციას ტფილისში მყოფ სპარსეთის კონსულისათვის თხოვნით მიუმართავს,—იღონეთ რამე თქვენს თანამემამულეთა დასაწყნარებლადაო. ამასთანავე, ადმინისტრაციამ ტფ. გუბერნატორსაცა სთხოვა, ჯარი გამოგვიგზავნეთ ქარხნის დასაცავადაო. კონსულმა ადგილობრივ გაჰგზავნა თავისი მდივანი ბ-ნი თალიხანი, რომელმაც ადგილობრივ უნდა გამოიკვლიოს სპარსელ მუშათა საჭიროება-მოთხოვნილებანი და ღონისძიება მიიღოს მათ დასაკმაყოფილებლად. ტფ. გუბერნატორმა ქარხნის დასაცველად ჯარის გაგზავნა საჭიროდ არ დაინახა (მშაკ).

✦ **სოფ. ქვიშარიდან** (ლეჩხუმის მაზრიდან) გვატყობინებენ: ვიღაცამ ადგილობრივ **კანცელარიას ცეცხლი** წაუკიდა. კანცელარია გადაიბუგა.

✦ 21 მარტს, საღამოს 6 საათზე, ყვირილაში, სადგურის ახლო, რევოლვერით მძიმედ **დაუჭრიათ დეპოს უფროსის თანაშემწე ვიაჩესლავ ბლოკი.** დაჭრილი ტფილისის რკინის გზის საავადმყოფოში გაგზავნეს. **დამნაშავენი ვერ აღმოაჩინეს.**

✦ რკინის გზის გამგეობას ბათუმიდან დეპეშით ატყობინებენ, 21 მარტს, დილის 5 საათზე, ორი შეიარაღებული კაცი დაეცა ბათუმის ახლო ყაზარმას და უფროსი **რემონტის მუშა, პეტრენკო თავსა და მხარში დასჭრესო.**

✦ ყარსის გზაზე რკინის გზის სადგურ კატახჩისთან 21 მარტს ვიღაცას რკინის გზის **ლიანდაგზე რელსები აუყრია.**

✦ ტფილისის მოქალაქეთ თავის მამასახლისისათვის **მოუთხოვიათ: ქართულისა და სომხურის მცოდნე საქმის მწარმოებელი დაგვინიშნეთ** და თქვენ ერთგულად ემსახურეთ თქვენს დანიშნულებასაო.

✦ **ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის დარაჯებმა** ხსენებულ სასწავლებლის დირექტორს ჯამაგირის მომატება სთხოვეს. სასწავლებლის კომიტეტმა დაადგინა, იშუამდგომლოს ქალაქის თვით-მმართველობის წინაშე, რომ ხსენებულ დარაჯებს თვეში თითოს თითო თუმანი მოემატოს.

✦ **ხარჯის ამკრებ ინსპექტორების ანგარიშით,** ტფილისის გუბერნიის მცხოვრებლებზე 400,000 მ. მეტი წინა წლების გადასახადი დარჩენილა. გაჭირვებულ მცხოვრებთ ხაზინაში მუყაითად ვერ შეაქვთ თურმე გადასახადები. მაგალითად, წელს 1 იანვრიდან 20 მარტამდის ერთიორად ნაკლები ფული შემოსულა, ვიდრე შარშან ამავე დროის განმავლობაში. ინსპექტორები სთხოვენ გუბერნატორს, რაიმე ღონე გამოსძებნეთ, რომ გლეხებმა ხარჯი მუყაითად იხადონო.

✦ **კავკასიის მთავარმართებლის კანცელარიამ სთხოვა კავკასიის გუბერნატორებსა და ოლქის უფროსებს,** წარმომიდგინეთ ხარჯთ-აღრიცხვა იმ შენობებისა და გზა-ტკეცილებისა, რომლებიც საჭიროდ მიგაჩნიათ, რომ მომავალ სამი წლის განმავლობაში გაკეთდესო. ამასთანავე კანცელარია აცნობებს, ამ გაზაფხულზედვე გამოიგზავნებიან მთავრობის-მიერ დანიშნული ინჟინრები და ისინი გამოიკვლევენ, მართლა აუცილებლად საჭიროა თქვენ-მიერ დასახელებული გზატკეცილებისა და შენობების გაკეთება, ან ხარჯთ-აღრიცხვა დაახლოვებით არის შემდგარი, თუ არაო.

✦ ტყიბულში, 21 ამ თვეს, რვა შეიარაღებული კაცი თავს დასცემია „ნახშირას" **ამხანაგობის ხაზინადარს** და 7000 მანათი წაულია. ოთხი დამნაშავეთაგანი შეუპყრიათ.

✦ რადგანაც ბაქოში ამ დღეებში ერთი კაცი საეჭვო ავადმყოფობით გამხდარა ავად, **დღეს ტფილისის სასანიტარო კომისიას სხდომა აქვს,** რომ, თუ ვინიცობაა ბაქოში ხოლერამ თავი იჩინა, ეხლავ მიიღოს ზომები ქალაქის სანიტარულ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

✦ დღეს საბჭოს დარბაზში დანიშნულია **ხმოსნების** სხდომა სხვადასხვა საქმეების განსახილველად.

✦ ბ-ნ **ალექსი-მესხიშვილმა ქუთაისის დასი დაითხოვა** და თვითონ ტფილისის დასთან ერთად ტფილისში აპირობს რამდენისამე წარმოდგენის გამართვას.

✦ ჩვენ გვთხოვენ **მივაქციოთ ყურადღება,** ვისიც ჯერ არს, თამამშევის ქარვასლაში მოვაჭრე სამსონ მიკირტუმოვს, რომელიც, თუ ფასში ვერ მოურიგდა მუშტარს, ლანძღავს და უწმაწურის სიტყვებით იხსენიებს. მანდილოსანს მისს სავაჭროს წინ შიშით ველარ გაუვლია. კარგი იქნება, ან თვით ქარვასლის პატრონმა და ან ახლად არჩეულმა ვაჭართა კომისიამ ყურადღება მიაქციოს მიკირტუმოვის თავხედობას, რადგანაც ასეთი მისი ქცევა არ ახალია—ძველია.

✦ 21 მარტს, საღამოს 11 საათზე, ნაძალადევში წყლის მილის ქუჩაზე ერთს **მეფურნეს მიუხტა ოთხი შეიარაღებული** კაცი და მოუტყუილებიათ, მუშათა კომიტეტისაგან ვართ გამოგზავნილები და, რაც ფული გაქვთ, ეხლავე ამოიღე, თორემ მოგკლავთო. მეფურნეს 350 მანათი მიუცია. მუშები გმობენ ამ საქციელს და ამბობენ: აი, კომიტეტის სახელით როგორ ბოროტმოქმედებენ ზოგიერთნიო!

✦ გუშინ ნაშუადღევის მატარებლით **პეტერბურგს გაემგზავრა საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარე მ. პ. გაკელი,** სახელმწიფო საბჭოს წევრის კობეკოს თავმჯდომარეობით დანიშნულ საგანგებო საბჭოში მონაწილეობის მისაღებად.

✦ 20 მარტს თავი მოიყარეს სოხუმის მცხოვრებლებმა და უნდოდათ თითონ **გაესამართლებინათ ერთი ქურდი,** შეგროვილ ხალხს თავს დაეცნენ დარაჯები და ჯარის კაცები და გაფანტეს. მეთაურები პასუხის-გებაში მისცეს (კავკ.).

✦ კავკავიდან „რუსსკ. გაზ." ატყობინებენ, ოსების დივიზიის **ორი ჯარის კაცი,** რომელთაც სამხედრო-საოლქო სასამართლომ ექვსის წლით კატორღა გადაუწყვიტა სამსახურზე უარის თქმისათვის, **გაიქცა კავკავის საპყრობილიდან** და დღემდეც ვერ აღმოუჩენიათო.

✦ ბათუმის სავაჟო გიმნაზიის პედაგოგიურ საბჭოს, მოსწავლეთა მშობლების თანადასწრებით, კრება ჰქონდა და გადაუწყვეტია სწავლის განახლება 16 მარტს მომხდარ უწესოებათა მიზეზით, ზოგიერთი მოწაფე **დროებით გამორიცხულ იქმნა** გიმნაზიიდან.

✦ რედაქციას **მოუვიდა საყმაწვილო ჟურნალ-«ჯეჯილი»-ს** მარტის ნომერი, შემდეგი შინაარსისა:

1) „ჩვენო ცუგო", ლექსი შ. მღვიმელისა 2) „ღორი და მებოსტნე" (იგავი), ალ. მირიანაშვილისა, 3) „ჭკვიანი ცხვარი" (თარგმანი)—ტასოსი. 4) „ფორთოხალი" (გადმოღებული)—ვერასი. 5) „გვირილა" (ზღაპარი)—ა. მიქაბერიძისა. 6) თავისი „ცოდვის გამომჟღავნება" (თარგ.)—სონასი. 7) „რად გავჩენილვარ" (ფუტკრის ნაანბობი)—თ. ხუსკივაძისა. 8) წვრილმანი და რებუსი. 9) „გაზაფხულის მოწოდება" (ლექსი)—ქოჩოსი. 10) „რად წაიყვანეს?—ეკ. გაბაშვილისა. 11) „თათრების მფლობელობა საქართველოში"—დ. კარიჭაშვილისა. 12) „კუტი" (ანდერსენიდან)—ს. ციციშვილისა. 13) „ტროადის ომი" (მშვენიერი ელენე)—ა. ყუმისთაველისა. 14) „ინდოეთის ხე-გველა", 15) „ფიზიკური გეოგრაფია„, პროფესორ გეიკისა—სან-ინისა. 16) წვრილმანი.

ჟურნალში ერთი ფერად წამლებით დახატული სურათიც არის.

ქუთაისის ცხოვრება

თანამედროვე საკითხზე კერძო მოლაპარაკების ნიმუში.

გუბერნიის მარშალმა თავ. სიმონ წერეთელმა ჩამოსვლისათანავე, 20 მარტს, მოიწვია კერძო კრება ზოგიერთ სოფლელ თავად-აზნაურთა და ქალაქის მცხოვრებლებისა. მას სურდა ამ კრებაზე შეემზადებინა ის საკითხები, რომელიც უნდა განიხილონ თავად-აზნაურობის მომავალ კრებაზე. საგანი მოწვევისა, რასაკვირველია, სოფლის დღევანდელი საჭირ-ბოროტო საკითხების გარჩევა იყო. წინამძღოლმა განაცხადა: დღეს ყველამ ვიცით სოფლის მოძრაობის ამბები და ის ცუდი მოვლენები, რომელშიაც ეს მოძრაობა გამოიხატა ზოგიერთ ჩვენი კუთხის მხარეებში. ვიცით აგრედვე ისიც, რომ ამ მოძრაობას სათავეში უდგია ზოგიერთი ისეთი პირები, რომელთაც ამ ბოლო დროს მეტად არა-ნორმალურ განვითარების გზაზე დააყენეს ეს მოძრაობა. ასე გასინჯეთ, ბევრგან ხალხის მოძრაობის მეთაურნი ეკონომიურ ნიადაგზე შურსა და მტრობას თესვენ წოდებათა შორის. ამისათვის საჭიროა, რომ ვეცადოთ ეს „არა-ნორმალური ხასიათი" ჩამოვაცალოთ დღევანდელ მოძრაობას და ჩავაყენოთ იგი ნამდვილ კალაპოტშიო. ამ წინადადების შესასრულებლად კრება შეუდგა ზომების მიღებას. ვინ რა დაასახელა და ვინ რა.

ბ-ნმა მოსე ქიქოძემ სთქვა: ხალხის დღევანდელი მდგომარეობა ორნაირია: ერთის მხრივ ზნეობრივი სიღატაკე და მეორე მხრივ—ფიზიკურ-ქონებრივი. რასაკვირველია, ეს უბედურება დღევანდელ დიად მოძრაობის აზრს ჩირქს არა სცხებს. დღეს ხალხი, როგორც ბევრსა ჰგონია, თავაზიანობასა და მოწყალებას როდი ითხოვს. მღელვარების ორი უმთავრესი მიზეზი—კუჭისა და ტვინის სიღატაკე—ორთავე დაკმაყოფილებას თხოულობს. ეს კი სამის გზით შეიძლება. ერთი—სამართლიანად გაყოფა მიწის ნამუშევრისა მშრომელისათვის, რომ მისი შრომით უზომოდ არ სარგებლობდეს მიწის პატრონი—მემამულე; მეორე—მოთხოვნა მთავრობისაგან, თუნდაც შავის ზღვის პირებზე, იმ მიწებისა, რომელიც ჩვენის ქვეყნის შვილების სისხლითაა მორწყული, და დარიგება იმათი ხალხისათვის, და მესამეც—სკოლების ეროვნულ ნიადაგზე დამყარება, რომ სოფლის სკოლაში ნამყოფმა ბავშვმა, „МОЯ-ТВОЯ"-ს გარდა, თავის სამშობლო ენაზედაც იცოდეს წერა-კითხვა და ლაპარაკი.

ქალაქის თავი კი სხვანაირად ფიქრობს დღევანდელ მოძრაობაზე. ამ კაბინეტის კაცს ხალხის გამოფხიზლება შურისა და მტრობის ნიადაგზე აღმოცენებულად წარმოუდგენია. გლეხი თავადსა მტრობს, აზნაური ერთსაც და მეორესაც, მღვდელი ერს, ხოლო პირველი კი—ყველასო, და აი, ყოველივე ეს ნივთიერ სიღატაკის ნიადაგზეაო. ამისათვის სოფელში აუტანელი მდგომარეობაა. სამწუხაროა, თუ ამ შუღლმა შეაჩერა (?) ის დიადი მომენტი, რომლის მზგავსიც საუკუნის განმავლობაში თითო იბადება და რომლის დიდი იმედებიც ყველასა გვაქვს. და თუ ეს ასე გაგრძელდა, ბევრს დააყრევინებს იარაღს საერთო ბრძოლისათვის. ამისთანა ამბები არსად არადროს არა ყოფილა და ევროპის ყველა სახელმწიფოების ისტორიაც მოწმობს (!). ამდენი წვა, დაგვა, კვლა და ყველაფრის განადგურება არავის მოსწრებია. დიდი შეცდომაა, თუ ვინმე ფიქრობს, საკუთრება არ იქნებაო. ეს ყოფილა, არის და იქნება. ავრცელებენ პროკლამაციებით თუ რაღაცეებით მიწების ღალების ფასებს, მაგრამ ვინ ადგენს ამას? სამართლიანია ეს მათი ფასები, ან ვისთან შეთანხმებით არის იგი ნაანგარიშევ-დადგენილი? იღებდა იმის შედგენაში ორთავე მხარე—გლეხი და მემამულეები—მონაწილეობას თუ არა? აი, სწორედ დღეს მაინც საერთოდ უნდა მოილაპარაკოს ამ ორმა დაინტერესებულმა მხარემ და ერთმანეთთან შეთანხმებით დაადგინოს მიწის ღალის ფასები, თორემ გლეხებმა რომ იძახონ, თითო-ოროლა მანათის მეტს ვერ მივცემთ ღალის ფულსო, ეს რა გამოვიდა, ამით ხომ მემამულე მარტო ბანკის ვალსაც ვერ გაისტუმრებს და თავი რიღათი ირჩინოს?! ერთის სიტყვით, ეს დეფექტები უნდა მოისპოს.

ამაზე სერგო ჯაფარიძემ შემდეგი შენიშნა ქალაქის მოურავს, რომელსაც, ჩვენის ისტორიის გარდა, უცხოთა ისტორიაც გვარიანად დავიწყებია: დღევანდელის მოძრაობის დეფექტებიო,—სთქვა ახალგაზრდა ვექილმა,—ისეთი უმნიშვნელო და მცირე ეპიზოდია იმ დიად ისტორიაში, რომლის მომსწრენიც ვართ, რომ იგი არც კია ისეთის დიდის ყურადღების ღირსი, როგორც თქვენ გინდათ მას მიაპყრათ. მხოლოდ საჭიროა, ეს პატარა ეპიზოდი სამართლიანათ გადაწყდეს. იგი დიდხანს არ გასტანს და ამისათვის ჩვენი ყურადღება უნდა მიპყრობილ იქმნეს იმ დიად საქმისაკენ, რომელსაც დღეს მთელი რუსეთი შებმია. ხალხი იღვიძებს. ეს გამოღვიძება კი პატარა ჯგუფის წყალობით დაიწყო, და აი, მას უნდა დავეხმაროთ ჩვენც და მასთან შეთანხმებულად ვიმოქმედოთ. ის ინციდენტები, რომელმაც დღეს თავი იჩინა, ალბად, ხელმძღვანელობის რიცხვთა სიმცირის გამო, დღეს თუ არა, ხვალ მოისპობა და მოძრაობაც ნორმალურ ხასიათს მიიღებს, რასაც გურიის ამბები მოწმობსო.

ამისთვისო,—ურჩია კრებას მხცოვანმა მოსემ,—ვისაც გული გერჩით და შეგიძლიათ, გადით სოფლად, ხალხში; მოელაპარაკეთ გლეხებს, გაიგეთ მათი ჭირ-ვარამი, თორემ აქ იმაზე ლაპარაკი, რომ თავად-აზნაურობას მამულები ბანკში აქვს დაგირავებული და დღევანდელი შემცირებული საღალო ფული სარგებელსაც ვერ გაუსტუმრებსო, რომ ვთქვათ, ამას ვინ დაგვიჯერებს? ეს რა გლეხების ბრალია? მეგობრულად მოველაპარაკოთ გლეხებს და უარი ვთქვათ მშრომელის ექსპლუატაციაზე.

თ-დ დავით ნიჟარაძემ კი კრებას უფრო საჩქარო ზომებზე მიუთითა. ყველამ ვიცით, რომ გლეხს გაუჭირდა ცხოვრება. მაგრამ ვის არ უჭირს დღეს ცხოვრება, ვისა აქვს ჩვენში დიდი მამული? იმისთანა მე არავინ მეგულება, რომ მეტი მამული ჰქონდეს. დეე, გლეხები ჩვენ კი ნუ გვიყოფენ მამულებს, ჩვენ ახლაც გვიჭირს ცხოვრება; არა, მოდით, ჩვენ ასე მოვიქცეთ: დღესვე გავგზავნოთ ხელმწიფის სახელზე ტელეგრამა, რომ გლეხებს მამულები არა აქვს, შიმშილით კვდება და დაურიგეთ სახელმწიფო მამულები-თქო და ამით ამ ნიადაგზე დავა ჩვენსა და მათ შორის მოისპობა". ამას დავით წულუკიძემაც დასძინა: „ტყვილა გვიჩივიან, ვითომ ჩვენ გათანასწორებულნი არ ვიყოთო. არა, ბატონებო, ყველა ერთ ტაფაში ვიწვით, ყველანი უფულებონი და უქონებონი ვართო".

ხოლო თ-დ გიორგი შერვაშიძემ შემდეგით დაასკვნა ეს მოლაპარაკება: დღეს ხალხის საერთო მღელვარებას ვხედავთ. იგი არ არის ამა თუ იმ კუთხეში ამტყდარი აჯანყება. ასე ყოფილა ყველგან, რომ ერის მღელვარება, და არა თითო-ოროლა პირის აჯანყება, ჰქმნის ისტორიას. და რადგან ამ მოძრაობას საერთო ხასიათი აქვს მიღებული,—დღეს ჩვენს ზრუნვას ის კი არ უნდა შეადგენდეს, რომ ვებრძოლოთ ამ მღელვარებას კერძო, თუნდაც ცუდ მხარეების, გამოჩინებას, სახეს, არამედ ის, რომ ჩვენ (დღემდე გარეშე მაყურებელნი, დავუმატებ მე) ჩვენის ხალხის ორგანიზმის ხორცმეტად არ დავრჩეთ. ჩვენს უნდა ვცდილობდეთ რა ღონისძიებით მივეგებებით დღევანდელ მოძრაობას. დღეს რომ ჩვენ არსებულ ხალხის ძალას კამათობა გავუმართოთ, ეს—ლომის ღრიალს რომ კატამ თავისის კნავილით პასუხი გასცეს—იმას ემსგავსება. ისტორიაში არ მომხდარა, რომ რომელიმე წოდება სიმშილით მომკვდარიყოს. დღეს ეკონომიურ ნიადაგზე ხალხთან ბრძოლის დრო არ არის. რასაც თხოულობენ, უნდა გავიჭირვოთ და დავუთმოთ. დღეს საჭიროა, რუსეთის საერთო მოძრაობას შევუერთდეთ და ხალხთან ერთად ვწიოთ უღელი. ხალხი ჩვენთვის როდია გაჩენილი, ჩვენ ვართ მისთვის გაჩენილი და, მაშ, უნდა შევუერთდეთ მას ჭირშიაცა და ლხინშიაც.

სამი საათის კამათის შემდეგ მოლაპარაკება გათავდა და აუარებელი მაყურებლები, რომელთა ტევაც აღარ იყო აივნებსა და მეზობელ ოთახებში, უკმაყოფილო დარჩა, რომ ასეთი საინტერესო კრება სადმე (თუნდა თეატრში) დიდ დარბაზში არ მოაწყეს.

ის.—არიძე.

სადღეისო

უცნაური დოლი.

ახლანდელი ცხოვრება-დოლია!..

ყველა რაღასაც ჩქარობს. ყველას უნდა, რომ ახლავე, ამავე წუთში შეიცვალოს ცხოვრების არსებული წყობილება და შემოვიდეს ახალი...

რომ გაიწმინდოს ჰაერი, რომელიც ადუნებს ძალებს, ჰკლავს ყოველსავე ცოცხალ არსებას და შეუძლებლად ხდის ცხოვრების განვითარებას...

რომ ახლავე გამოფხიზლდეს ხალხი, მოისურვოს ადამიანური ცხოვრება და ამაყად, თამამად მოითხოვოს ცხოვრებისთვის არსებულ პირობების მოსპობა და ახალ პირობების შექმნა, ახლავე დაუყოვნებლივ...

ყველა ჩქარობს, მაგრამ უნდა ვთქვათ გამოტეხილი, მაინც ერთ ადგილას ვართ გაჩერებული, წინ არ მივდივართ, იქა ვართ დღეს, სადაც ვიყავით ამ ექვსი თვის წინად.

—

ვჩქარობთ ჩვენ, ჩქარობს მთავრობა, ჩქარობს მტერი, ჩქარობს მოყვარე, ჩქარობს მთელი ერი და მაინც თითქო უცნაური ძალით შებოჭილა, ერთ ადგილიდან არ იძვრის არავინ...

ამ ექვსი თვის წინად გამოსთქვა ხალხმა თავისი სურვილი, რომ ახალ გზაზე დადგეს მისი ცხოვრება და ახლაც... ენატრება იგივე, ვინაიდან ამ ექვსი თვის განმავლობაში ხალხის მდგომარეობა არ შეცვლილა არაფრით!..

ახლაც იგივე საპოლიციო ზედამხედველობა, „საეჭვო პირთა სიები", ადმინისტრატიულის წესით ადამიანის გასამართლება... არც მუშტსა და არც მათრახს არ დაჰკარგვია უწინდელი მნიშვნელობა, და ხალხიც უწინდელივით სჩივის საერთო უსამართლობას..

და ამის გამო დღესაც ლაპარაკია რეფორმების შემოღებაზე, ლაპარაკი, ლაპარაკი, განუწყვეტელი ლაპარაკი... და...

...მივრბივართ გაჩქარებული, მაგრამ ადგილიდან მაინც ვერ დავიძერით და ვერა!...

—

ეს ლაპარაკი, აგერ ნახევარ წელიწადზე მეტია, არ შეწყვეტილა..

მხოლოდ უწინ მეტი გატაცება ეტყობოდა ლაპარაკს, მეტი გრძნობა და აშკარად გამოთქმული მომავლის იმედი.

ეხლა გატაცება აღარ სჩანს, ლაპარაკს ეჭვის კილოც ეტყობა, თითქო აღარ სჯერა არავის, რომ ლაპარაკით, გარიგდეს საქმე...

და ხალხის სურვილების გამოთქმას სხვა კილო მიეცა:

უფრო გადაჭრილი, უფრო მტკიცე.

ექვსი თვის განმავლობაში ერთ ადგილზე გაჩქარებით მოსიარულე ხალხი ახლა თითქო გულმოსულიც არის იმის გამო, რომ ტყუილ-უბრალოდ იცდიდა ამდენი ხნის განმავლობაში, დროს ჰკარგავდა ლაპარაკში და აგერ უნდა წამოსცდეს ახალი სიტყვა:

—

სურვილები, რაც გქონდა, წარმოსთქვით, ახლა გაჩერდით და ამ სურვილების განხორციელებასაც შეუდგეთ.

მაგრამ გაჩერებას არ ანებებენ!..

ეუბნებიან: ირბინე, ირბინე კიდევ, ილაპარაკე, გამოსთქვი კიდევ რომელიმე სურვილი, ნუ თუ მეტი არაფერი გაქვს სათქმელი? მალე, მალე თუ გინდა, შეიკრიბე, მოილაპარაკე, თხოვნები დასწერე, მაგრამ მალე ნუ გაჩერდები, იარე...

იარე იმავე ადგილას!

და ხალხიც ასრულებს რჩევას: გაჩქარებით იკრიბება, მსჯელობს, ბაასობს, ლაპარაკობს, ახალ სურვილებს იკვლევს და არ იშლის ამ დაუსრულებელ ლაპარაკს, იმავე ადგილზე სირბილს და ისევე ლაპარაკს!..

ასეთია ხალხის ცხოვრება ამ უკანასკნელ ექვსი თვის განმავლობაში!

გაჩქარებულია ცხოვრების მაჯის ცემა, ჩქარობს ყველა,—დოლია, მაგრამ უცნაური დოლი-..

ერთ ადგილიდან არ იძვრის არავინ!

—

გამიტყდა ურმის ბორბალი, მინდა გავაკეთო იგი, ვყვირი გამწარებული: მიშველეთ, აღარ მივარგა ურემი, მიშველეთ! სად არის ახალი ბორბალი?! ხმა მაღლა ვაცხადებ სურვილს, რომ გაკეთდეს, გამრთელდეს ურემი.

ვამბობ ამას და თან ვერეკები ხარებს, არ მინდა ჩამოვხტე ურმიდან, გავაჩერო იგი და განზე გადავისროლო გატეხილი ბორბალი, რომელიც აფერხებს ჩემი ურმის მსვლელობას.

ვერ ვხედავ იმას, რომ ხალხი გაჩერებულა გზაში, მიყურებს და... გულიანად იცინის!

სასაცილოა!

სასაცილოა იმიტომ, რომ არ შეიძლება გატეხილ ურმის გამთელება ლაპარაკით, სურვილების გამოთქმით, იმიტომ რომ საჭიროა ხელის განძრევა, ურმის გაჩერება, ჩატეხილ ბორბლის გადაგდება, მის მაგივრად ახალ ურმის გაკეთება, თუ მართლა მინდა, რომ ურემი გამომადგეს შემდეგში!

—

გზაში მიმავალ ურემს როგორ გამოვუცვალო უვარგისი ბორბალი?

ჩაკეტილ კარის წინ ერთ ადგილზე სირბილით კარებში შესვლა რომ არ შეიძლება,—ეს ყველამ იცის...

და მაინც, მთელი ნახევარი წელიწადია, დარბის ერთსა და იმავე ადგილას ხალხი, დარბის გაჩქარებით ყოველი ჩვენთაგანი, ყველას უნდა, რომ თავის თავად გაიღოს სამოთხის კარი და მზა-მზარეულად, თავის-თავად ჩაუვარდეს ხელში ბედნიერება.

ამნაირად საქმის გაკეთება არ შეიძლება!

ვლაპარაკობთ, თხოვნებს ვწერთ, ვმსჯელობთ, ვბაასობთ და, რომ გავათავებთ ამაებს, ისევე თავიდან ვიწყებთ ლაპარაკს, თხოვნას, მსჯელობას, ბაასსა და ისევე ლაპარაკს, ლაპარაკს და მუდამ, ყოველთვის ლაპარაკს.

ამ ლაპარაკში გავატარეთ ექვსი თვე და ოდნავაც ვერ შევცვალეთ ცხოვრების პირობები, რომელიც მაშინვე უვარგისი გვეგონა!

ვდგევართ ერთ ადგილას და მივრბივართ, მივრბივართ გაჩქარებით და... იქვე კი ვრჩებით ისევე... უძრავად!

დოლია?!... უცნაური!

ნ. ნ.

ქალაქის საბჭო

—

დაიძრა ხალხი და ჯამაათი, დაიძრა ავლაბარი „ომნიბუსებითა" და „დროშკებით" და ორშაბათს, საღამოს რვა საათზე, საბჭოს კარებს მიადგა. ნამდვილი იერიში იყო მიტანილი თავ-გასულ პატრონსა და პატრონზე, რომელიც ავლაბრის შესახებ ბატონობას, თურმე, არ უკადრისობს, მაგრამ საპატრონოთ კი თითსაც არ ანძრევს. „ჩვენ, მართლა, უკანონო შვილები ხომ არა ვართ ქალაქისათ?! გადასახადებს გვახდევინებენ, ყველა ვალდებულებას გვასრულებინებენ, გაკეთებით კი ქუჩის გაყვანაც ეზარებათ ჩვენთვისაო", ამბობდნენ ერთნი—„что, мы у Бога теленка съѣли, что ли!"—გაიძახოდნენ მეორენი და მუქარითა და გულის წყრომით კრების დაწყებას უცდიდნენ.

კრების დაწყებისათანავე ქალაქის მოურავმა საბჭოს წაუკითხა ავლაბრელების განცხადება: ავლაბარი ქალაქის გამგეობას ქალაქის ნაწილად არა აქვს ცნობილიო, ავლაბრელებიც ხარჯს ვიხდით ისე, როგორც დანარჩენი მოქალაქენი, გაუმჯობესობას კი ვერავითარს ვერ ვღირსეთ. არა გვაქვს სკოლები, არა გვაქვს სხვადასხვა დაწესებულება და ყველა ამისთვის ქალაქის შუა ნაწილში გამოვრბივართ. ქალაქში წამდაუწუმ სირბილს კიდევ ჯანი გავარდეს, ავიტანდით, მაგრამ გზები და სიშორე გვაწვრილებს, ავლაბრიდან ქალაქში „ომნიბუსებით" მოვჩანჩალებთ და, აბა, ავლაბარი „ომნიბუსით" როგორ დაეწევა ზრდა-განვითარებაში ქალაქს, რომელიც ელექტრონის რკინის გზით მიჰქრის გაუმჯობესობის და კეთილდღეობის გზაზეო. ვთხოულობთ, ქალაქის გამგეობამ ყურადღება მოგვაქციოს და ავლაბარიც ციციანოვის აღმართზე ელექ-

---

ვინ იცის, სად გააქრეს. იციან კი გლეხებმა, სად არიან ცხენები, მაგრამ აბა რა გაბედონ? რატომ? იმიტომ, რომ ერთი ძლევა-მოსილია, ხოლო მეორე უძლური! მე-11, 12, 13 და 14 თავადებმა უმიზეზოდ სცემეს, დაჩეხეს გლეხები და ამისთვის ეს საწყლები იძულებულნი არიან კიდევ პირიქით დაასაჩუქრონ შეურაცხმყოფელნი თავადნი. რატომ? იმიტომ, რომ თავადის სილა-ხანჯალი გლეხისათვის უხვად მოვლენილი წყალობაა. მე-15, 16 და 17 თავადებმა ცხენები მოიპარეს, პატრონებს ფული გამოსტყუეს—მოგინახავთო, მაგრამ ცხენები ცხენებად დაეკარგათ, ფული ფულად და თავადები-კი ხელუხლებელნი შეიქმნენ, როგორც კერძო პირთა, ისე კანონისაგანაც. ახლა ვიკითხოთ: ნუ თუ გლეხი ამ მეოცე საუკუნეშიაც ისეთი დაძაბუნებულია, რომ არავითარს წინააღმდეგობას არ უწევს თავის მტანჯველს? ვერ ვიტყვით, რომ იგი ყველაფერს ითმენდეს. ამ ბოლო დროს გლეხმაც გაიგო, რომ ისიც ადამიანია და ამიტომ ხანდისხან მედგარს წინააღმდეგობას უწევს თავადსა, მხოლოდ მომხრე და მასწავლებლები ეჭირვებათ...

თუ თავადები ასე რაინდობენ, არც სოფლის მოხელე-მამასახლისები არიან ჩამორჩენილნი თავადებს. უფროსის მიერ დაბარებული მამასახლისი „სასოფლო ცხენით" წავიდა, მაგრამ პირუტყვი იმდენად გაკადნიერდა, რომ მდინარეზე გასვლის დროს შუა წყალში ჩაწვა და მამასახლისი თავის ჯაჭვიანად დაასველა. ეს როგორა მკადრე ან მე ან ჩემს ჯაჭვსაო და საწყალს პირუტყვს ხმლით თეძო მოაგდებინა. მაგრამ ვინაა მთქმელი? ვინაა, რომ გული შესტკიოდეს და ეწვოდეს ამგვარს უსამართლობაზე?! ან რაღა საკვირველია ასე მოიქცნენ მამასახლისები იქ, სადაც, კანონის წინააღმდეგ, ზოგიერთნი ბოქაულნი თვითონ ირჩევენ მამასახლისებს?! ს. ლენტეხში ბოქაულმა ასეთის სიტყვებით მიმართა საზოგადოებას: ყველა მოხელეები თქვენ ამოირჩიეთ, მხოლოდ მამასახლისის ამორჩევა მე დამითმეთ: მე ვირჩევ ისევ ძველს, რადგანაც ჩვენთვის კარგია და თქვენთვისაც უთუოდ კარგი უნდა იყოსო. (?) თუმცა მეტი ნაწილი ამომრჩეველთა წინააღმდეგი იყო ამგვარის არჩევნისა, მაგრამ „ძალამ" თავისი გაიტანა... სადაც ამგვარები ხდება, იქ რა უნდა ან სამართლიანობას, ან კანონს?!..

სადაც თავადებს შევეხეთ, იქ ცოტა სამღვდელოებაზედაც ვსთქვათ. აქეთკენ ნასწავლ მღვდლებს ძვირად შეხვდებით და ამიტომ ადვილად წარმოსადგენია, თუ რა გავლენა ექნებათ მათ ხალხზე, მით უფრო, რომ მეტ ნაწილს, როგორც სხვა კუთხეებიდან გადმოხვეწილს, ამ ქვეყანაში, სხვადასხვა მიზეზთა გამო, ენერგია ეკარგებათ და მუდამ თავიანთ სოფელში დაბრუნებაზე ფიქრობენ... დაჩაგრულს გლეხობას სამართლიანი ქომაგი ეჭირვება და ეს კი არსად არა ჰყავს. ვინაა ვალდებული, თუ არა მღვდელი, მხარი დაუჭიროს ხალხს გაჭირვებაში?!

მთელს ლაშხეთის საზოგადოებას (სადადიანო სვანეთშია), ეს 12 წელიწადია, აქვს ერთად-ერთი სამინისტრო სკოლა. მასწავლებელს სოფელი აძლევს ჯამაგირს 3,00 მან., მაგრამ ეაი იმ ძლევას. ხალხი შეწუხებულია გადასახადებით იმიტომ, რომ არ შეუძლიან და არავინ არ უჯერებს... ბოქაულის უხიაკმა სიტყვებმა: „დურაკ, სვოლოჩ, და სვინია"-მ და მამასახლის-სტრაჟნიკების მათრახმა არ იცის გარჩევა შეუძლებლობისა და ამიტომ რათ გიკვირთ, რომ ღატაკს მოსახლეს გადასახადებში ქვაბებს, ბალიშებსა და ღორ-მოზვერებსართმევენ?..

მასწავლებლის ჯამაგირს, როგორც იქმნებოდა, გაუძლებდა ხალხი, მაგრამ რათ გინდა, როდესაც სკოლა ამ პირობებში მისთვის არამც თუ გამოუსადეგარია, არამედ დამღუპველია: ბავშვებს შესვლისათანავე ულაყებენ ტვინს უცხო ენაზედ სიტყვების რახა-რუხით და სამშობლო ენას კი (ქართულს) ახლოს არ აკარებენ. ხალხი ამას გრძნობდა, დღესაცა გრძნობს და ამიტომაც იყო, რომ სკოლაში აქამომდე 5—7 ბავშვი თუ დაიარებოდა. ბოლოს ხალხის მოთმინების ფიალაც აივსო და 25 თებერვალს ამა 1905 წ. სასოფლო ყრილობაზედ ერთხმად დაადგინა: 1) გადაკეთდეს არსებული სკოლა საეკკლესიოდ იმ პირობით, რომ სკოლაში ქართული ენა ისწავლებოდეს და მასწავლებელს სახელმწიფო ჯამაგირი მიეცეს; 2) ეხლანდელი შენობა გადაეცეს სათანადო სასულიერო მთავრობას ახალის სკოლისათვის და 3) სანამ ეს საქმე არ გადაწყდეს სასურველად, მანამდისინ სკოლაში ბავშვები აღარ გავგზავნოთო.

რამ ათქმევინა ამავე ლაშხეთის საზოგადოებას უარი სხვადასხვა ბეგარის გარდახდაზე 25 თებერვალის ყრილობაზე, თუ არა ისევ გაჭირვებამ და უკიდურესმა სიღარიბემ? გაფიცვათა და არეულობათა გამო აქაურმა მუშა ხალხმაც ვერსად ვერ იშოვნა ფული, რის გამოც შინ შიშველ-ტიტველი კვამლიანს სახლში ცეცხლს ეფიცხება.

სინამდვილით შეიძლება სთქვას კაცმა, რომ ამ ჟამად 400 კომლიდგან 40 კომლი თუ მოახერხებს გარდასახადების გასტუმრებას, მაგრამ ვინ დაუჯერებს ამას საწყალს ხალხსა?! არავინ! მაშ ხალხს ისევ ის დარჩენია, რომ მანვე გამოხატოს მისი გაჭირვება-ღალხინება სხვადასხვა გვარად...

დროებით გამვლელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრონის რკინის გზის გაყვანით ქალაქის შუაგულს შეუერთოსო.

ასე ჩიოდნენ ავლაბრელები და ამ ჩივილმა ორშაბათს, 12 ორატორს, მისცა სალაპარაკო მასალა...

როგორც ვიცით, როცა ქალაქს უსახელო საზოგადოებისათვის სულშეკრულობა დაუდვია, სხვათა შორის, ავლაბარში ელექტრონის რკინის გზის გაყვანაც დაუვალებია, რომელსაც სირაჯხანის აღმართზე უნდა ევლო და კახეთის მოედანზე ასულიყო; ამით გამგეობას სურდა ქალაქის შუაგული და გოგირდის აბანოები შეეერთებინა, რადგანაც მომავალში იქ ქალაქი წყლით სამკურნალო სადგურის აშენებას აპირობს.

უსახელო საზოგადოებას თავის მხრივ ქალაქისათვის სესხის მსგავსად 400,000 მ. გადაუცია, რომელიც მომავალ რკინის გზისათვის საჭირო ადგილების ყიდვას უნდა მოხმარებოდა.

მაგრამ ელექტრონის რკინის გზის მომავალმა მიმართულებამ, დამშვიდების მაგივრად, ავლაბრელებს უკმაყოფილების ცეცხლი წაუკიდა. მათის აზრით, ავლაბრისათვის მართლა გამოსადეგმა გზამ სირაჯხანის აღმართზე კი არა, ციციანოვის აღმართზე უნდა იაროს და ამით შეუერთდეს ქალაქს, მხოლოდ ერთი ნაწილი კი არა ავლაბრისა, როგორც გზის სირაჯხანის აღმართზე გაყვანას მოჰყვება ?. არამედ ამ განაპირა კუთხის შუაგულიო.

მომეტებული ნაწილი მოლაპარაკეთა ავლაბრელების მხარეზე იყო. გამგეობის წევრმა, ენფიაჯიანცმა, ხმ. მირზოევმა, გამგეობის წევრებმა არღუთინსკიმ, ჩერქეზიშვილმა, ხმ. ზაბოევმა და სხვ.

ბევრი ილაპარაკეს ციციანოვის აღმართის უპირატესობაზე, მის მნიშვნელობაზე, ავლაბრის ჩამორჩენაზე და ერთად თხოულობდნენ, რკინის გზა ისე გაიყვანეთ, როგორც ავლაბრისთვის უფრო გამოსადეგი იქნება, მით უფრო, რომ უსახელო საზოგადოება თანხმად გზის მიმართულება შესცვალოს, რისთვისაც მზად არის 400,000 ქალაქს საკუთრებად გადასცეს და ეს ფული მოხმარდება მუხრანის ხიდის აშენებას და გზას ერთი-ორად შეამოკლებსო. რაც შეხება აბანოების, გაუმჯობესობას და სამკურნალო სადგურის აგებას მაგ., საქმის ასრულება ჯერ კიდევ შორს არისო და როცა დავიწყებთ ამ საქმეს, იმ 40,000 მანეთს, რომელსაც ეხლა ჩვენ რკინის გზის გაყვანას მოვახმარებთ, ყოველთვის ვიშოვითო.

ამას არ ეთანხმებოდნენ მხოლოდ ხმ. ტიგრანოვი და ევანგულოვი. პირველის აზრით, ძველი გზა (სირაჯხანის აღმართზე) ძლიერ საყურადღებო და მნიშვნელოვანია, რადგანაც გვაახლოვებს აბანოებს, რომელსაც მსოფლიო თუ არა, საიმპერიო მნიშვნელობა აქვსო. ავლაბრელებმა თავის კერძო ინტერესები უნდა დაივიწყონ და ქალაქის საერთო საჭიროება მიიღონ მხედველობაშიო. შეიძლება ძველი გზაც დავტოვოთ და ახალიც გავიყვანოთ, ფული კი ვისესხოთ და ისე ავაშენოთ მუხრანის ხიდიო. უსახელო საზოგადოების ფული თავის დანიშნულებას უნდა მოხმარდესო. ამასვე ამტკიცებდა ხმ. ევანგულოვიც, რომელიც ამბობდა, რომ ჩვენს მტერს, უსახელო საზოგადოებას, თითონ სურს შესცვალოს მიმართულება, რადგანაც სირაჯხანის აღმართზე ელექტრონის ტრამვაის გაყვანა იმისთვის ძლიერ საზარალო იქნებაო. ამიტომ ჩვენ მას არ უნდა დავუთმოთ და უნდა გვახსოვდეს, რომ რაც მეტს ზარალს ნახავს ჩვენი მოიჯარადრე, ქალაქისთვის მით მეტი სასარგებლო და ხელსაყრელი იქნება, როცა ბოლოს ანგარიშების გასწორებაზე მიდგება საქმეო.

ღამის პირველ საათამდის ასე ირკვეოდა ავლაბრელების განცხადება, რომელნიც ტაშისკვრით ეგებებოდნენ ყოველს თავის მექომაგეს, სამაგიეროდ ხმ. ევანგულოვს ბევრი «ჩუმად», «არ გვინდა» უყვირეს. ამნაირი „ჩარევა“ ხმოსნების სჯა-ბაასში ძლიერ იუკადრისა ხმ. შახ-ბუდაღოვმა, რომელმაც განაცხადა: თუ კარეშე საზოგადოება ასე მოიქცევა, მე სხდომიდან წავალო...

ავლაბრელების საქმე ასე გადასწყდა: ელექტრონის რკინის გზას სირაჯხანის აღმართის მაგიერ ციციანოვის აღმართზე გაიყვანენ, რისთვისაც საბჭომ გადასწყვიტა:

1) დაუყოვნებლივ შეუდგეს მუხრანის ხიდის აგებას.
2) დააწესოს ხიდზე სასიარულო გადასახადი.
3) ისესხოს საჭირო ფული.
4) სესხის შოვნამდის ხარჯს მოანდომოს 400,000 მან., რომელიც გადადებულია შუა ზაზრისთვის.
5) მოსთხოვოს საზოგადოებას 400,000 მანათი ეხლავე შემოიტანოს და
6) ეს ფული ქალაქმა სრულ საკუთრებად იცნოს.

კრების დასასრულ საბჭომ გადასწყვიტა, მეპურეთა თხოვნის თანახმად, 1/2 კაპეიკი მოუმატოს 1 და 2 ხარისხის პურის ნიხრს.

რუსეთი

„რუსკაია ვედომოსტში“ დაბეჭდილია წერილი ცნობილ მწერლის ვ. კოროლენკოსი. აი, რასა სწერს იგი, სხვათა შორის: ამ წლის იანვარში, როგორც მოსკოვში, ისე რუსეთის სხვა ქალაქებშიაც, გაკრული იყო განცხადება, რომელიც მთავრობას ვიღაც ჩერეპ-სპირიდოვიჩმა გამოუგზავნა. ამ განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ მუშათა მოძრაობა ინგლისელებისა და იაპონელების ფულით არის გამოწვეულიო. ეს განცხადება მთავრობამ სიცრუედ იცნო და კიდეც უარყო საზღვარ გარედ, მაგრამ შიდა რუსეთში ეს ხმა ისევ გავრცელებულია და, ასე გასინჯეთ, სინოდის უკაზის ძალით, ეკლესიის კათედრიდანაც კი უქადაგებენ ხალხს. ამნაირად, ერთობის და სოლიდარობის ნაცვლად, იმის მაგივრად, რომ პატიოსნურად გამოარკვიონ შინაური აწეწილი საქმე, — გონების და სინიდისს რუსეთის ხალხისას რჰყვნიან შულლის, სიძულვილის თესვით, სთესენ საშიშარ მტრობას და შურისძიებას. ნუ თუ ასე უნდა გამრავლდეს ეს საქმე და, თუ საჭიროა მოისპოს, როგორ უნდა მოისპოს? აი ამ კითხვით მივმართავ იმათ, ვინც ეკლესიის ბედს განაგებენ, ვისთვისაც „სარწმუნოება“ და „ჭეშმარიტი“ ცალიერი სიტყვები კი არ არის, არამედ წყარო ცხოველ-მყოფელ გრძნობისა; ვკითხავთ იმათ, ნუ თუ ეკლესიამაც უნდა იხელმძღვანელოს იმ აზრით, რომ მიზნის მისაღწევად შეიძლება ყოველნაირი საშუალება იხმაროს კაცმა და „ცდომილებითა ცხონდების კაცი“. ნეტა ვიცოდეთ, რომელი „სულიერი“? მიზნისთვის არის საჭირო ეკლესიის მიერ გავრცელებული ჭორი ან რას შველის ამისთანა ცხადი და დიდი ტყუილი.

პეტერბურგში ჩასულა მოსკოვის მაჰმადიანი საზოგადოების დეპუტაცია, რომელსაც მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარის, ვიტესთვის გადაუცია მოხსენება მაჰმადიანთა სასულიერო და სამოქალაქო საჭიროებათა შესახებ. დეპუტაციას უნახავს მინისტრი ბულიგინი და კობეკო. ყველგან დიდის ყურადღებით მიუღიათ. (რ. ვ.)

„პრავოში“ შემდეგი წერილია დაბეჭდილი ნაფიც ვექილის გოლდოვსკისა: ერთ-ერთს დასავლეთ გუბერნიაში ამ დღეებში ფოსტით სოფლებში დაარიგეს მოწოდება, რომელსაც საჭირო დიდი ყურადღება მიექცეს.

«პოლონელები, მათი მღვდლები და ებრაელები ცდილობენ ბატონ-ყმობის დრო დაიბრუნონ და ამჟამად ომში ეხმარებიან იაპონელებს, ფულებს უგზავნიან, წითელ ჯვარს კი არაფერს სწირავენ. მეფეს საიდუმლოდ უთქვამს: პოლონელებსა და ებრაელებს რომ მოვიმხრობდე, მთელ მიწებს გლეხებს დავურიგებდიო. ხელს აწერს რუსული მართლ-მადიდებელი კომიტეტი».

ამ მოწოდების გასავრცელებლად მიღებული ზომები ერთ სასამართლოში გადაწყვეტილ საქმიდან გავიცანი და მისი გამოცხადება მოსახერხებელი არ არის, მაგრამ თვით „დოკუმენტიც“ საკმარისია, რომ კაცს არავითარი განმარტება არ დასჭირდეს.

ამ მოკლედ გამოთქმულ „გრამოტას“ შეუძლიან ძლიერ მჭევრ-მეტყველური ფაქტები გამოიწვიოს და, თუ ვაიხსენებთ კიშინიოვს, გომელსა, ყაზანსა და პსკოვში მომხდარ ამბებს, მაშინ „მართლმადიდებელ კომიტეტის“ მოწოდებას შეუძლიან ხალხის სისხლის ღვრასა და ძარცვა-რბევაზე მოპატიჟების მაგივრობა გასწიოს.

პროფ. ვლადიმიროვის 100 მსმენელს გადუწყვეტია თავის დღეში აღარ წაიკითხონ: „ნოვოე ვრემია“, „მოსკოვის უწყებები“ და გრაჟდანინი“. მსმენელთა შორის უმრავლესობა აფიცრები, მოხელეები, სტუდენტები და კურსისტკები არიან (ჩ. პ.).

კორესპონდენცია

ოზურგეთი. 18 მარტს აქ მოვიდა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი თავ. ჯამბაკურ-ორბელიანი. თან ახლდნენ ოზურგეთის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თ. გ. ერისთავი, მაზრის უფროსი ჯაფარიძე (ეხლა შეუდგნენ თანამდებობის აღსრულებას) და სხვა მოხელენი. გენ.-გუბერნატორმა მისვლისთანავე დაათვალიერა აქ დაბანაკებული ჯარები და წავიდა გენ. ალიხანოვის სადგომში. მეორე დღეს, 19 მარტს, გენ.-გუბერნატორი მივიდა თვით-მმართველობის დარბაზში, სადაც მას დახვდნენ ქალაქის მოურავი, ხმოსნები და რამდენიმე ადგილობრივი მცხოვრებნი. გუბერნატორმა მიმართა იქ მყოფთ და უთხრა: „ამ ბოლოს დროს თქვენში მეტის-მეტი არა სასიამოვნო ამბები ხდება; ძალიან არივ-დარიეთ ყველაფერი, — ეს მკვლელობა, ეს ძარცვა-გლეჯა და ათასი უწესობანი. რა არის მიზეზი ასეთის უჩვეულო მოძრაობისა? ამაზედ ხმ. ზერიძემ შემდეგი უპასუხა: „ჩვენში ისეთი არაფერი ხდება და არც მომხდარა, რაიცა სხვაგან არ იყოს. წაიკითხეთ მარტო გაზეთები და დარწმუნდებით, რომ სხვაგანაც უარესებიც ხდება; მაგალითად, გურიაში შემთხვევა არ ყოფილა, რომ ხუთასი და ათასი კაცი დასცემოდეს რომელსამე მემამულეს, ან სხვას და წაერთმიოს ყველაფერი, რაიცა რუსეთში ხშირი მოვლენაა. რუსეთის ხალხი გაჭირვებულია და ღელავს, ისე გვით ჩვენც... თქვენზე წინადაც ყოფილან აქ მთავრობის წარმომადგენლები, რომელთაც მივმართეთ თხოვნით და ავუხსენით ჩვენი გაჭირვება, მაგრამ ყურადღება არ მოგვაქციეს, ახლა კი ჯარები ჩაგვიყენეს; კვლავ გარწმუნებთ, რომ აქ ისეთი არაფერი არ არის, რაც არ იყოს მთელ რუსეთში“... აქ გუბერნატორმა შენიშნა: „როგორ თუ არ არის, როცა კაცს ქუჩაში ჰკლავენო“.

— ჩვენ „დასჯილნივად“ ვერ დავდგებით, რომ კაცის მკვლელებსა ვნდიოთ. ყველას რად გვედება ბრალი? განა სხვაგან კი არ არის ავი კაციო? უპასუხა ხმოსანმა. შემდეგ ილაპარაკა დ. ცეცხლაძემ, რომელმაც ბ-ნ გუბერნატორს განუმარტა პირველი მიზეზი გლეხთა მოძრაობისა და მოიხსენია 1901—1902 წ.წ. ჭირნახულის მოუსავლიანობა, რამაც ხალხი უკიდურესს გაჭირვებაში ჩააგდო და რასაც გლეხების მემამულეთა წინააღმდეგ გაფიცვა მოჰყვა. მოახსენა აგრეთვე, ის თუ როგორ შევიწროებასაც აყენებდნენ მებატონეები გლეხებს, და ბოლოს სთქვა: „თუმცა ზოგიერთ მემამულეთა უნდოდათ ნაკლებ საიჯარო ქირით მიეცათ მიწა გლეხებისათვის, მაგრამ ადგილობრივმა ადმინისტრაციამ არ დაანება და ამითი საქმე უფრო გაამწვავაო. ზოგიერთ მემამულეთ, რომელთაც უნდოდათ განცხადება დაებეჭდათ და სოფლებში გაეგზავნათ „საუკუნოდ რაოდენობას ვუკლებ ჩემს მიწებზე და, ვისაც გინდათ, აიღეთო“, ასეთი განცხადების დაბეჭდვის ნება არ დართო ადმინისტრაციამ“... აქ მაზრის უფროსმა შენიშნა — „მართალი არ არისო!..

ბოლოს ბ. გუბერნატორმა წინადადება მისცა ყველას იქ მყოფთ: „რაც იყო-იყო, ხოლო ამას შემდეგ მშვიდობიანად იყავით, დაწყნარდით, იმას რას უყურებთ, რასაც გაზეთები სწერენ, დაივიწყეთ ყველაფერი, თუ გინდათ სასტიკი ზომები აიცილოთ აქ, გატოვებთ გენ. ალიხანოვს და, რაც დაგჭირდეთ იმას მიმართეთ და ყველაფერში შემწეობას აღმოგიჩენთო. ამდენისამე ხნის შემდეგ აქ ჩამოვა კავკასიის ნამესტნიკი, რომელიც ყველაფერს გამოიკვლევს, გამოიკითხავს და, თუ თქვენც წინანდელ შეცდომებს გაასწორებთ, მთავრობაც ყველაფერში თქვენი დამხმარე იქნებაო“.

შემდეგ გუბერნატორმა თავის ამალით მთელი ქალაქი შემოიარა.

ჭინკაი.

—

ქვემო იმერეთი. ჩვენშიც ხალხმა ადმინისტრაციასთან შეწყვიტა კავშირი და თვითონ განაგებს თავისს საქმეებს. სოფლის სამმართველოები მიურებულია, ადარავინ ეკარება, ყველამ გაიგო მასთი გაძევება, მოხერხება და ყველგან ნდობა დაჰკარგა. ყრილობაშიაც ადარავინ ეკარება დღეს მათ. ხალხმა შეადგინა თვით-მმართველობა და ყოველივე დავა და საკითხი საერთო კრებაზე ირჩევა. დამნაშავეს გზას აკეთებინებენ, ან თავის სახლში რამენისამე თვით აპატიმრებენ და სხვ. სოფლებში სამიკიტნო შარმანკები მოისპო, აგრეთვე ბანქოს თამაშობა, სიმთვრალე და ჩხუბიც თანდათან კლებულობს.

სოფლებში მშვიდობაა და არავითარ ბარბაროსულ მოქმედებას ჯერჯერობით ადგილი არა აქვს. სიმინდი ფუთი ფასობს ცხრა მაურად, ღვინო კი — ორ მანეთად და უფრო ნაკლებადაც.

ამჟამ სიკეთესთან ერთი სამწუხარო მოვლენა უნდა ავღნიშნო: გაჩნდა ბოროტ განმზრახველთა გუნდი და, ვისთანაც ფულს ეგულებიან, უთვლიან: „ამდენი ფული უნდა გამოგზავნო, კომიტეტმა და კრებამ ასე გადასწყვიტაო, თორემ წუთისოფელს გამოესალმებიო“. მეტად საჭიროა ყურადღება მიექცეს ამ გარემოებას.

ვლადო ბზვანელი.

წერილი რედაქციის მიმართ.

„ივერიის“ № 16 მოთავსებული იყო უსახელო კორესპონდენცია ქუთაისიდან, სადაცუც ხობი ავტორი, სხვათა შორის, გაბრიელის სახელობაზე დაარსებულ წიგნთ-საცავ-სამკითხველოსაც ეხება: ცოტა წიგნებია და გაზეთებია, საძაგელი მყრალი სუნი დგას, სადაც კაცს გაძლება უჭირსო. წერილის ავტორს არ სცოდნია, რა არის უფასო სამკითხველო და ისიც ქუთაისში. ჩვენც კი გვინდა გვქონდეს საუკეთესო დარბაზი, პირველ ადგილზე თუ არა, მეორეზე მაინც, მოგვდიოდეს ყოველნაირი ჟურნალ-გაზეთები, როგორც რუსულ-ქართული, ისე საზღვარ-გარეთულიც, მაგრამ ამას შეძლება უნდა, რაც ჩვენ არა გვაქვს. მაგალითად, გასულ წელს არავითარი შემოსავალი არ ყოფილა, გარდა ასი მანათისა, რომელიც მივიღეთ წ. კ. გ. საზოგადოებისაგან. ხელის მომწერთაგან შემოვიდა მხოლოდ 90 მან., სულ შედგა 190 მან., ხარჯი კი იყო 944 მან.

სამართლის დამახინჯებაა უცნობ ავტორის ცნობები სამკითხველოს შესახებ. შეძლების და გვარად ამ კითხველი წიგნებსაც იძენს და გაზეთებსაც იწერს. წელს სამკითხველოს მოსდის შემდეგი გაზეთები: „ივერია“, „ცნობის ფურცელი“, „რუსკ. ვედომოსტი“, „ნოვოე ობოზრენიე“, „ტიფლისკი ლისტოკი“, „კავკაზ“ და „ბაკ. იზვესტია“. გვქონდა გამოწერილი „ნაშა ჟიზნ-“იც და კიდეც მოდიოდა, სანამ არ დაიხურებოდა. რასაკვირველია, დღევანდელი მისი მდგომარეობით დაკმაყოფილება არ შეიძლება და ყოველთვის მეტია საჭირო, მაგრამ სამკითხველო არც ისეთ ცუდ ყოფაშია, რომ, ცოტათ თუ ბევრად, ხალხს ვერ აკმაყოფილებდეს. სტყუის თქვენი მოამბე, როდესაც ამბობს, ვითომც სამკითხველო ოთახი ბნელი და აყროლებული იყოს. როგორც სახალხო უფასო სამკითხველო, ამას უფრო ხელ-მოკლე ხალხი ეტანება და, თუ ჩვენი მკითხველები ოდეკოლონებს არა ხმარობენ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ იქ მართლაც ისეთი სუნი იდგეს, რომ კაცის გაძლება შეუძლებელი იყოს. ალბად ძალიან დიდი კაცი უნდა იყოს ჩვენი სამკითხველოს ოთახის დამწუნებელი!..

გაზეთების ხევას თქვენთან ერთად მეც ვუსაყვედურებ მკითხველებს და ეს მოვლენა არც ჩემი უყურადღებობის ბრალია. უნდა მოგახსენოთ, რომ წიგნთ-საცავი ერთ ოთახშია მოთავსებული და გაზეთების საკითხავი კი მეორეში, ხოლო ერთსა და იმავე დროს ორ ადგილას ყოფნა შეუძლებელია. ან რა დრო საჭირია გაზეთის გახევასა და ჯიბეში ჩადებას. ვსთხოვ პატივცემულ მკითხველებს, გაზეთებს სიფთხილით მოეკიდნენ და უსამართლო საყვედურები თავიდან ამაცილონ.

დასასრულ, ვსთხოვ ყველას, ვისაც კი მართლა გული შესტკივა სამკითხველოსთვის და არა მარტო ავტორობის სურვილი აქვს — ქონებრივად ხელი შეუწყოს სამკითხველოს გამდიდრებას, თორემ ცარიელი სიტყვებით გამოლაშქრება არავის სარგებლობას არ მოუტანს. უსარგებლოა აგრეთვე ის რჩევა, რომ „წიგნების კითხვის ფასი შაურიდან ხუთ შაურად გავზარდოთ“, ეს ჩვენი მოვალეობაა. არ შეიძლება გავუდეს წიგნ-გაზეთების კითხვის ფასი, რომ ხალხს მეტი საშუალება ჰქონდეს გონებრივ საზრდოს მიღებისა. სამკითხველოს გამგე:

ილია დარახველიძე.

ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

22 მარტი.

ჯიბუტი, 21 მარტი. ნებოგატოვის ესკადრა ჯიბუტთან გაჩერდა.

გუნჯულინი, 21 მარტი. გუშინ, საღამოს 10 საათზე, მოვიდნენ მუკდენში მომწყვდეული ექიმები, ზედამხედველი, კორესპონდენტი მაშკევიჩი და სხვები. მეტად აქებენ სათნოების დათა მოქმედებას. ზოგი მათგანი ნებაყოფლობით დარჩენილან მუკდენში, დაჭრილები ხელში აყვანილი გამოჰყავდა, რუსი თუ იაპონელები, როდესაც ჩინელებმა საავადმყოფოსა და სხვა შენობებს ცეცხლი მისცეს და იაპონელების ყუმბარები სკდებოდა. — იაპონელები ფრთხილად შედიოდნენ მუკდენში. იმათი ბარგი ჩინელების ეტლებით მოდიოდა. ჩინელი სანიტარებიც იყვნენ, რომელნიც დაჭრილებს აბინავებდნენ. ოიამა მუკდენის ძიანძუნთან ჩამოხდა, ოკუ — მანჯურიის სამლოცველოში. იაპონელები ამბობენ, მუკდენის ბრძოლამ ომის ბედი გადასწყვიტაო და უნდათ ზავი ჩამოვარდეს, ხოლო უშველებელ კონტრიბუციას მოითხოვენ. მუკდენის ჩრდილოეთად გზა სულ განადგურებულია, ხიდები ნალმით არის ჩამოშლილი.

პარიზი, 21 მარტი. როდესაც ბჭობა იყო სახელმწიფოსი და ეკლესიის განცალკევების შესახებ, ბანსელმა სთქვა, პროექტი არეულობას მოახდენს ჩვენს ქვეყანაშიო. რიბომ განაცხადა, ჯერ ერს უნდა შევეკითხოთო. უგუნური რეფორმაა, რადგან მთავრობას ეკლესიის დახმარება მოაკლდებაო.

ბელგრადი. სამინისტრომ სამსახურიდან დათხოვნის თხოვნა წარადგინა.

მოსკოვი, 21 მარტი. გრადონაჩალნიკმა ნება მისცა მოსკოვის მუშებს, საერთო კრებაზე მშვიდად მოიაზრონ და შეიმუშაონ პეტიცია, რომელიც ფინანსთა სამინისტროს წარედგინება.

ვიტებსკი. ვაჭრებსა და ნოქრებს შორის უთანხმოება იყო. ეხლა კი ერთმანეთს დაუთმეს და მორიგდნენ.

ჩიტა. 21 მარტს აქ ზაბაიკალის ბურიატები შეიკრიბნენ თავის საჭიროებათა გამოსაკვლევად.

ბერლინი, 21 მარტი. ლონდონიდან დეპეშით ატყობინებენ „ლოკალ ანცეიგერს“, გერმანიის იმპერატორის ტანჟერში მისვლამ ინგლისის ყველა დასები შეათანხმა, რომ ინგლისმა საფრანგეთთან ერთობა იქონიოს.

მოგილიოვი, 21 მარტი. გუშინ პოლიცმეისტერის თანაშემწე მაზკაილო ვილნის ქუჩაზე რომ მიდიოდა, საღამოს 10 საათზე, სამი ბოროტ-განმზრახველი დაეცა და სამჯერ ზედიზედ ესროლა. პირველ სროლის შემდეგ ცხენები დაფთხნენ და გაქანდნენ. ტყვიები აცდა. ბოროტ განმზრახველნი გაიქცნენ.

ბუდაპეშტი, 21 მარტი. იმპერატორი დიდხანს ებაასა ანდრაშის, რომელსაც მაინდო ოპოზიციის მეთაურთ მოლაპარაკოს. ანდრაშიც მოლაპარაკა. იმპერატორი თანხმაა სამხედრო კანონ-პროექტი ორის წლით გადასდოს. ოპოზიციის მეთაურებმა ერთხმად გადასწყვიტეს იმით არ დაკმაყოფილდნენ, რაც იმპერატორმა დაუთმო.

მოსკოვი. კურსკის რკინის გზის მოძრაობის უფროსს ინჟინერ ბიუბენკოს უფროს რევიზორმა რევოლვერი ესროლა და შემდეგ თითონაც დაიცა ორივე უვნებელია. მიზეზი უთანხმოებაა სამსახურის გამო.

პარიზი. ამბობენ, მანისტრ პრეზიდენტი რუვიე სამსახურს თავს ანებებსო.

ჰამბურგი. იმპერატორი პორტ-მგონს მივიდა.

პარიზი. ინგლისის კონსულს ბრესტში ატყობინებენ, ინგლისის საატლანტიო ფლოტი — 8 ჯავშნოსანი და 5 კრეისერი ბრესტს მოვა ივლისის ნახევარშიო. საფრანგეთიც საპასუხოდ თავის ესკადრას გაგზავნის სპიტხედს.

პეტერბურგი, 22 მარტი. ცარსკოე სელოს მოვიდნენ პრინცი ჰენრიხ პრუსიელი მეუღლითურთ. სადგურზე მიეგებნენ ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული და ამალა. ნაშუადღევს 1 საათზე ალექსანდრეს სასახლეში საგვარეულო საუზმე იყო.

ათინა კრიტიდან ცნობა მოვიდა, მდგომარეობა გამწვავდა; დიდ ამბებს უნდა მოველოდეთო.

სტამბოლი. 300 ბულგარელი ამერიკას იხიზნება, ხოლო სალონიკში გენერალ-ინსპექტორმა შეაჩერა, რადგან ჯგუფების გადასახლება არ შეიძლებაო. მთავარ-ვეზირის ინსტრუქციას მოელიან. რადგან მაკედონიაში მკვლელობა გახშირდა, ნაბრძანებია, განსაკუთრებული სასამართლო დაარსდეს, რომელსაც პოლიტიკურ დამნაშავეთა სიკვდილით დასჯის უფლებაც ექნება.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატაში ლორდ ჩერჩილმა პროტესტი განაცხადა სამხედრო ბიუჯეტის სიდიდის გამო და სთქვა: ინდოეთს ეხლა არაფრის შიში აღარა აქვსო. ედვარდ გრეიმ სთქვა, რუსეთ-იაპონიის ომი დიდის ხნით გაანთავისუფლებს ინდოეთს რუსეთის პოლიტიკის ზეგავლენისაგანო. დილკს რუსეთის შესვლა ინდოეთში ავღანისტანით შესაძლოდ არ მიაჩნია. ევანს გორდონმა სთქვა, რუსეთის შესვლა ინდოეთში მხოლოდ ოცნება არ არისო. რუსეთს დიდი ძალა დასდგა მანჯურიაში და ინდოეთისთვის საგდენი როდი დასჭირდებაო.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში — ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევს 4 ს. 20 წ. (5 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერივანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 დილის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევს 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევს 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № (3 ნაშუადღევს 3 ს. 05 წ. (4 ს. 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4 საქონ.-სამგზავრო № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერივან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევს 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 6) ი. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუადღევს 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.-სამგზ. დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

6 **ბაქო-ტფილისისაკენ:** 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № 1 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 50 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევს 2 ს. 20 წ. 3 ს. 18 წ.; 4) სამგზავრო № 57 საღამოს ს. 206 წ. (7 ს. 18 წ.)

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურობის ქარვასლაში,
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—7 „
კვირა-უქმე—დილით 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, № 113.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. „ 5—8

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი იგიტიანცი.

კუკიისა. ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი კ. გლელიშვილი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტატეოსიანცი.

დიდუბის განყოფილება. ექ. შჩერბინა.

თვალის სამკურნალო. კრილოვის ქუჩა, ველიკოკნიაზის ქუჩის კუთხე. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისის ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელქიანცისა.
2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

პეტერბურგის ბირჟა, 15 მარტი 1905 წ.

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	94,30
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიჟისაზე 100 ფრანკში	—
ლონდონისაზე ჩეკები	94,72 1/2
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,63
ბირჟის დისკონტი	5 1/4—6 3/4 %
4% სახელმწიფო რენტა	85 1/2
4%-ანი სახ. სესხი 1902 წ.	—
4 1/2% შინაგანი სესხ. 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საად.-მამ. ბანკ.	—
5% პირ. შინ. მომ. ბილ. 1864 წ.	385 1/2
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	305 „
5% გირ.-მომ. ფურც. სახ. საადგ.-მამ. ბანკ.	270 „
5% ობლიგაციები ტფილ. საკრ. საზოგ.	— „
4 1/2% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. სახ.	—
5% გირავ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკისა	—
4 1/2% გირავნ. ფურც. ამავე ბანკისა	—
6% გირ. ფურც. ქუთ. სად.-მამ. ბანკისა	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	216 1/4

განცხადებანი

რუსული წიგნები ი. გოგებაშვილისა.

1. **Государственный языкъ** въ грузинскихъ начальныхъ школахъ, პასუხად ბ. ოდოევს. ფასი ექვსი შაური.
2. **Какъ поднять** Кавказскую народ. школу? ფასი ექვსი შაური.
3. **Къ вопросу** о мингрельской начальной школѣ. ფასი ერთი აბაზი.
4. **Правда о Тифлисѣ,** მეორე ბევრად შევსებული გამოცემა. ფასი ერთი აბაზი.

(3—5.—5)

„წერა-კით. საზოგადოების“ კანცელარიაში
(სასახლის ქ., თავ.-აზნაურობის ქარვასლა)
იყიდება
რონიშვილისეული ფოტოგრაფიის ავეჯეულობა
დივანი, სავარძლები, სარკეები, ტრიუმო, კამოდი, სტოლები, სკამები და სხვ.
ნახვა შეიძლება დილის 10—2 ს. და საღამოს 5—8 ს.

ახლად გახსნილი
ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა
„შრომა“
(ფრეილინის ქუჩა, სახელმწიფო ბანკის გვერდით)
იღებს ყოველგვარ საბეჭდავსა და საკაზმავს საქმეებს, რუსულ, ქართულ, სომხურ და ფრანგულ ენებზე და ასრულებს ძლიერ სუფთად და თავის დროზე, ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასებში.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 22 марта 1905 г
ელ·ექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“ ფრეილინის ქ. № 5.